საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი
J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების
დეპარტამენტი

სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

შალვა გლოველი

დასავლურ-ქართული სახელმწიფო – „აფხაზთა სამეფო“ და მისი საზღვრები

მეომრის ბიბლიოთეკა №24

თბილისი
2008

თქვენს წინაშეა ახალი სერიის „მეომრის ბიბლიოთეკის“ ოცდამეოთხე წიგნი; სერია ითვალისწინებს წიგნების მთელ წყებას, რომლებშიც პოპულარულად იქნება გადმოცემული საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.

სერიის მიზანია ქართველი მეომრის და იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში. სერიაში გათვალისწინებულია პოპულარული, მაგრამ მაღალ პროფესიონალურ დონეზე დაწერილი სახელმძღვანელოები; ეს პატარა, მაგრამ ტევადი და კარგად გაფორმებული ბროშურები მიეძღვნება ქართველთა უდიდეს მეფე დავითს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, ბაგრატ III-ს, საქართველოში წარმოებულ მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლებს, XIX–XX სს-ის გამოჩენილ ქართველ ოფიცრებს, საქართველოსა და მსოფლიო სამხედრო ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და ა.შ.

სერიის გამოცემის ინიციატორები არიან ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დიდი სურვილი და იმედი გვაქვს, რომ მეომართა და ოფიცერთა გარდა, საქართველოს ყოველი მოქალაქე სიამოვნებით მიიღებს ამ სერიის ყოველ ახალ წიგნს.

სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება.

ვაჟა კიკნაძე

სერიის სარედაქციო კოლეგია: ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი **ვაჟა კიკნაძე**

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი **თამაზ ბერაძე**

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი **მარიამ ჩხარტიშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ნინო გიგანი**
ყდის დიზაინი: **გიორგი კიკნაძე**

რედაქტორი: **ნარგიზ ხარაბაძე**
ტექნიკური რედაქტორი: **მარი ჭონიშვილი**

დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების
გაერთიანებული შტაბის J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო
დეპარტამენტის უფროსის – პოლკოვნიკ ნოდარ ქვილითაიას მიერ

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის
ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. 2008 წ.
ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20
ტელ.: +995 32 91-19-83
faqsi: +995 32 91-19-83

„აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბების ისტორია

VIII–IX სს. მიჯნაზე საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს ახალი სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების პროცესი. მათგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო **„აფხაზთა სამეფო“.** ეს სახელმწიფო წყაროებში „აფხაზთა“, ან კიდევ „ეგრისის სამეფოდ“ იხსენიება, რადგანაც სამეფო დინასტიის დამაარსებელი იყო აფხაზეთის ერისთავი; თვით სახელმწიფოს ტერიტორია კი, ისტორიული ეგრისის მიწა-წყალსაც მოიცავდა. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, ამ სახელმწიფოს სახელწოდებასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მიდგომაა: ზოგი მკვლევარი ამ სამეფოს „ეგრის-აფხაზეთის“ სამეფოს უწოდებს, ზოგიც – „აფხაზთა“ ან „ლიხსიქეთის“ სამეფოს სახელწოდებით მოიხსენიებს. მნიშვნელოვანია, რომ ამ სამეფოს სახელწოდება გულისხმობდა მთლიანად გაერთიანებულ დასავლეთ საქართველოს და იგი ტერიტორიულად შეიცავდა აფხაზეთს, სამეგრელოს, გურია-აჭარას და იმერეთს.

როგორც ცნობილია, VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოში, ეგრისში, მიმდინარეობდა ხანგრძლივი ბრძოლა დაპირისპირებულ ორ უდიდეს ძალას – ბიზანტიასა და ირანს შორის. ამან, ბუნებრივია, გავლენა იქონია ქვეყნის (ეგრისის) როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ VI საუკუნის ბოლოს ეგრისის სამეფოს გამოეყო აფხაზეთი (ბიზანტიური წყაროებით აბაზგია) და უშუალოდ დაექვემდებარა ბიზანტიის იმპერიას. მომდევნო საუკუნეებში, ეგრისის დასუსტების პარალელურად, თანდათან ძლიერდება აფხაზეთის საერისთავო. მალე, ბიზანტიის ხელშეწყობით გაძლიერებული აფხაზეთი კვლავ ერთიანდება ეგრისთან და იქმნება ე. წ. „აფხაზთა სამეფო“ – დასავლურ-ქართული სახელმწიფო.

„აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბების პროცესში გასარკვევად საინტერესოა გავაანალიზოთ, თუ რა ვითარებაა შექმნილი „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბებამდე. „არაბობის“ ხანაში (ანუ საქართველოში არაბთა შემოსევების და საქართველოს ტერიტორიებზე მათი გაბატონების პერიოდში, შ. გ.), ქართლიდან დევნილი ერისმთავრები **მირი** და **არჩილი** თავს აფარებენ აფხაზეთის საერისთავოს. იმხანად, ეს საერისთავო, როგორც ვთქვით, ბიზანტიის შემადგენელი ნაწილია. ისტორიული წყაროს, „ქართვლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ავტორი – ჯუანშერი, მოგვითხრობს რა მურვან „ყრუს“ (არაბი დამპყრობლის) შემოსევის შესახებ, პირდაპირ წერს, რომ „შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო **საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა** (ხაზგასმა ჩვენია, შ. გ.)“. მაშასადამე, ქართლში არაბთა ბატონობის პერიოდში, ქართლის იმდროინდელი უზენაესი ადგილობრივი ხელისუფალნი, ერისმთავრები მირი და არჩილი, გადადიან ფაქტობრივად ბიზანტიის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე. აფხაზეთი იმ დროს ბიზანტიის საერისთავო იყო. ამ რთულ ვითარებაში არაბთა სახალიფოსა და ბიზანტიასთან მიმართებაში აფხაზეთი ორმხრივ პოლიტიკას ატარებდა. არ შეეძლო რა

ერთდროულად ებრძოლა ორივე მტრის წინააღმდეგ, ბიზანტიელთა ვასალობით და ხაზართა დახმარებით გაშალა ბრძოლა არაბებთან. აქ აშკარად საერთო ქართულ-ბიზანტიური ანტიარაბული ერთიანი ალიანსის შექმნასთან გვაქვს საქმე. მაგრამ, როგორც ჩანს, ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლის ფონზე, არაბთაგან ნაკლებად კონტროლირებად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბების მცდელობაც ამავე პერიოდიდანაა სავარაუდო.

აფხაზეთში მყოფი მირი და არჩილი, ადგილობრივ ერისთავ **ლეონ** I-თან ერთად (რომელიც კეისრის (ბიზანტიის კეისრის) მოხელე-ერისთავია), ბიზანტიის ხელისუფალს უკავშირდებიან. ჯუანშერის ცნობით: „იქმნა მას ჟამსა გარნყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა და არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყუთა ყოვლადვე და წარავლინეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა მირ და არჩილ და ლეონ, ერისთავმან აფხაზეთისამან, და აუწყეს ესე ყოველი“. მირს და არჩილს ბიზანტიის იმპერატორისაგან სრული მხარდაჭერა მიუღიათ. ამის თაობაზე საინტერესო ცნობას გვაწვდის ჯუანშერი, კერძოდ, იმპერატორს გამოუგზავნია ორი გვირგვინი მირისთვის და არჩილისთვის. როგორც ჩანს, ბიზანტიამ მხარი დაუჭირა მირისა და არჩილის ქართული სახელმწიფოს უზენაეს ხელისუფლებაში ყოფნას; **ფაქტობრივად, ბიზანტიამ გამოაცხადა მზადყოფნა და ხელშეწყობა ახალი ქართული სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად.** ჯუანშერის ცნობით, ბერძენთა მეფემ „წარმოსცა ორი გვირგვინი და გუჯარი მირსა და არჩილს, და მოსწერა მათ თანა, ვითარმედ: „თქუენი იყოს მეფობა, სიმჭნე და სიბრძნე ქართლსა შინა ...“.

„არაბობის“ ხანაში, სწორედ ქართლის იმდროინდელი უზენაესი ხელისუფალნი – ერისმთავრები (ფაქტობრივად მეფეები) მირი და არჩილი იწყებენ საკუთარი გავლენის აღდგენისათვის ბრძოლას, ქართული სახელმწიფოს ახალი ფორმით აღდგენას და ამიტომ მოხდა მათი ბიზანტიასთან დაკავშირება. „აფხაზთა სამეფო“ უფრო გვიან პერიოდში ჩამოყალიბდა, მაგრამ ამ სამეფოს საბოლოო სახით ჩამოყალიბება სწორედ **მირისა და არჩილის მიერ დაწყებული პროცესის დასასრული ეტაპია.** ბუნებრივია, ახალი სამეფოს შექმნა ერთჯერადი აქტით ვერ განხორციელდებოდა, საამისოდ აუცილებელი იქნებოდა არაერთი პრობლემის გადაჭრა და ამ ყველაფერს დრო სჭირდებოდა. მთავარი ერთია: არაბთაგან მოშლილ ქართულ სახელმწიფოს აღდგენა და ახალი ფორმით ჩამოყალიბება ესაჭიროებოდა. სწორედ, ამ პროცესს იწყებენ მირი და არჩილი.

ბიზანტიის იმპერატორმა აფხაზეთში საკუთარ ერისთავს, ლეონ I-საც გაუგზავნა წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „შენდა მიბრძანებიეს ერისთაობა აფხაზეთისა და შვილთა შენთა და მომავალთა შენთა მიუკუნისამდე. არამედ კეთილად პატივსცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა, და ამიერითგან ნულარამცა ჰელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა, ვიდრემდის იყვნენ მანდა ანუ განვიდენ მანდით“. როგორც ვხედავთ, აფხაზეთის ერისთავმა ბიზანტიის იმპერატორისაგან მიიღო ბრძანება დახმარებოდა მირსა და

არჩილს. ამის სანაცვლოდ, ლეონ I-ს მისი საგამგებლო – აფხაზეთის საერისთავო – მემკვიდრეობით მფლობელობაში გადაეცა. **სავარაუდოა, რომ მირთან და არჩილთან მოკავშირეობით ბიზანტია მთელ ეგრისზე ძველი გავლენის აღდგენას ვარაუდობდა.**

ამ პროცესში ძალიან საინტერესოა საკუთრივ აფხაზეთის ერისთავის, ლეონ I-ის პოლიტიკა. მან, მიიღო რა კეისრის ბრძანება დახმარება აღმოეჩინა მირისა და არჩილისათვის, ფაქტობრივად აღიარა ისინი უზენაეს ხელისუფლად და მოგვიანებით არჩილთან გარკვეულ ვასალურ ურთიერთობაშიც შევიდა. ძნელი სათქმელია, ლეონ I-მა ესეც ბიზანტიის დავალებით განახორციელა თუ არა, მაგრამ ამ ეტაპზე, ვფიქრობთ, რომ იმპერია ამის აქტიური მოწინააღმდეგე არ იქნებოდა. მართალია, ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს აფხაზეთის საერისთავო ჩამოსცილდა სუზერენ* ბიზანტიას და ვასალურ დაქვემდებარებაში შევიდა ქართლის ხელისუფალთან, მაგრამ რეალურად ბიზანტია ამ გზით, შესაძლოა, ვარაუდობდა არა მარტო აფხაზეთზე, არამედ საქართველოს დიდ ნაწილზე და განსაკუთრებით, მთელ დასავლეთ საქართველოზე გაბატონებას და ამ მხარეზე ძველი გავლენის აღდგენას. ყოველივე ზემოთქმულის თაობაზე ჯუანშერი წერს: მირი „დამძიმდა წყლულებისა მისგან მოსიკუდიდ“ და ძმას, არჩილს დაუბარა, რომ მისი ქალიშვილები მიეთხოვებინა ერისთავებისთვის: „მისცენ მათ ასულნი ჩემნი და განუყვენ მათ ქუეყანანი ქართლისანი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ...“. მირის გარდაცვალების შემდეგ არჩილმა შეასრულა ძმის ანდერძი და მირის 7 ასულიდან 6 გაათხოვა. შემდეგ, „მოუწოდა ლეონს და რქუა: კურთხეულ იყავ შენ უფლისა მიერ, რამეთუ კეთილად იღუაწე სტუმრობა ჩუენი, და დამიცვენ ჩუენ ადგილთა შენთა მშჯდობით: გარნა აწ უწყიეს შენება ადგილთა ჩუენთა კლისურითგან აღმართ. წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთათისს. აწ ითხოვე თავისა შენისათჯს რა გნებავს ჩემგან, ნაცვლად კეთილისა მსახურებისა შენისა“. მაშინ ლეონ ერისთავმა უპასუხა: „...მომცა მე კეისარმან ქუეყანა ესე მკჯდრობით კეთილად სიმჯნითა თქუენითა ხოლო ამიერითგან არს ესე მამულობით სამკჯდრებელ ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთად, სადა დასწუდების წუერი კავკასიისა ამის. შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რომელნი – ესე დღეს ღირს ყვენ შვილად და ძმად შენდა. არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენდავე იყოს“. არჩილმა მირის მეშვიდე ასული, **გურანდუხტი** ლეონ I, აფხაზეთის ერისთავს შერთო და მასვე გადასცა ბიზანტიის იმპერატორის მიერ, მირისთვის გამოგზავნილი გვირგვინიც; „და ყვეს აღთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არა იყოს მტერობა შორის მათსა, არამედ **ერჩდეს ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა“**. როგორც ვთქვით, აფხაზეთის ერისთავი, ლეონ I არჩილთან ვასალურ ურთიერთობაში ამგვარად შედის. **ეს იყო ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება, რაც საფუძვლად დაედო აქ ქართული სახელმწიფოს შექმნას.**

მკვლევართა ნაწილს გამოთქმული აქვს ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ არჩილის რეფორმამდეც, მეფის ზოგიერთი მსხვილი ფეოდალი უკვე ფლობდა იმ ტერიტორიებს, რომელიც მას შემდეგ ოფიციალურად გადასცა

მეფემ. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია ატენის სიონის 739 წლის წარწერა, სადაც ვკითხულობთ:

„ზეობასა კა (21) ღმრთივგვირგვინოსანისა, არჩილის კეთილადმსახურებასა ზედა, მეფისა ჩუენისასა ხელმწიფობასა სარკინოზთასა რკა (121), აღესრულა კუთხეული მამფალი სტეფანოზ, ღმრთისა მიერ ქართველთა და მეგრელთა ერისთავ-ერისთავსთა უფალი, თუესა ოკდომბერსა იდ (14), დღესა ოთხშაბათსა, ჟამსა ღამისასა ა(1)...“ (ქარაგმების გახსნა და ნაკლული ტექსტის აღდგენა ჩვენია, შ. გ.)

ამ წარწერაში ჩანს იმდროინდელი ქართლის ხელისუფლების იერარქია: სტეფანოზი არის მამფალი*, ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფალი, მაგრამ არა აბსოლუტური მმართველი; ქვეყანას სათავეში უდგას მეფე. ატენის სიონის წარწერის მიხედვით, სტეფანოზ მამფალი განაგებდა ქართლსა და ეგრისს. თავისთავად, ქართლი და ეგრისი იმდროინდელ მსხვილ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ. ატენის სიონის წარწერის მონაცემების და ჯუანშერის ზემოთ მოტანილი ცნობის (ქვეყნის საგამგებლო ტერიტორიებად განაწილების თაობაზე) შედარების საფუძველზე, უკეთ დგინდება, რომ ატენის სიონის წარწერაში ასახული ქართლის სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია, კარგად ხსნის ჯუანშერის წყაროში წარმოდგენილ ვითარებას. სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას ატენის სიონის ზემოთ მოტანილ წარწერაში ის ხაზგასმული მითითება, რომ ქართლისა და ეგრისის მმართველობა სტეფანოზ მამფალს უპყრია, ხოლო ქვეყნის იერარქიის უმაღლეს საფეხურზე დგას მეფე. ჯუანშერის მიხედვით, არჩილმა ეგრისში ყოფნის დროს განახორციელა რეფორმა და ერისთავებს სამემკვიდროდ მისცა „ქვეყნები“. „730 წლიდან უნდა გამხდარიყო სტეფანოზ მამფალი „ქართუელთა და მეგრელთა ერისთავ-ერისთავსთა უფალი“, ხოლო არჩილ II – „ყოველი ქართლის“ მეფე, რაც, ცხადია, რეალურ პოლიტიკურ ტიტულს არ უნდა გამოხატავდეს“. ჩვენ მოვლენათა დათარიღების საკითხს საგანგებოდ შევეხებით, მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ სავსებით ვიზიარებთ ისტორიოგრაფიაში არსებულ შეხედულებას, რომ ატენის სიონის წარწერა ადასტურებს ჩვენს მიერ განხილული საკითხების რეალურობას.

იმდროინდელი აფხაზეთის სამთავრო-საერისთავოს პოლიტიკური ვითარება (VII–VIII საუკუნეებში), ასევე, „აფხაზთა სამეფოს“ გენეზისიც, დანახულ უნდა იქნას ბიზანტიაში მიმდინარე ღრმა პროცესთან კავშირში. ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ VII–VIII საუკუნეებში ბიზანტიაში ღრმავდებოდა ფეოდალური ურთიერთობები და მიმდინარეობდა თემების, ე. ი. სამხედრო-ტერიტორიული ოლქების ჩამოყალიბება, რომელთა სათავეშიც **„სტრატეგოსები“***, ანუ ძველი ქართული ტრადიციის თანახმად, **„ერისთავები“** იდგნენ. ეს პროცესი გვაძლევს საშუალებას გამოვიცნოთ, რომ აფხაზეთიც ერთ-ერთი ასეთი სასაზღვრო თემი უნდა ყოფილიყო. ეგრისის სამეფოს ჩამოცილებული აფხაზეთის საერისთავო ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში მოექცა. აფხაზეთის „სტრატეგოსი“ (თემის ჩამოყალიბებამდე **„არ-**

ხონტი“), იგივე „ერისთავი“, ბიზანტიის მოხელე ხდება, თუმცა, როგორც ჩანს, მას საკმაოდ დიდი უფლებები ჰქონდა. ჩვენამდე მოაღწია ე. წ. **„ბიჭვინთის ბულამ“***, რომელიც თარიღდება VII–VIII საუკუნეებით. მას აქვს ბერძნული წარწერა:

პირზე აწერია: **„კონსტანტინოს“,** ზურგზე აწერია: **„აბასგიას“;** ე. ი. **„კონსტანტინე აფხაზეთის“** (მთავარი).

ბულას წარწერაში მოხსენიებულია **კონსტანტინე.** როგორც ცნობილია, „აფხაზეთში“ იყო მეფე კონსტანტინე, რომელიც მეფობდა 893-922 წლებში, მაგრამ ბულათა ტიპი და წარწერის პალეოგრაფიული (დამწერლობითი) ნიშნები, არ იძლევა საფუძველს აღნიშნული წარწერის IX-X საუკუნეებით დათარიღებისათვის. მაშასადამე, აქ მოხსენიებული კონსტანტინე არის არა „აფხაზთა მეფე“, არამედ აფხაზეთის ერისთავი კონსტანტინე I ან კონსტანტინე II. მათ შესახებ საუბარია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილ ე. წ. **„მეფეთა დივანშიც“*** **(მეფეთა ჩამონათვალი):** „... პ(ირველ)ი მეფე აფხაზეთისა იყო ანოს: მეორე შვილი მისი ღოზარ, მესამე შვილი მისი ისტვინე: მეოთხე შვილი მისი ფინიკტიოს: მეხუთე შვილი მისი ბარუკ, მეექვსე შვილი მისი დიმიტრი: მეშვიდე შვილი მისი თეოდოსი: მერვე შვილი მისი **კოსტანტი** (კონსტანტინე I, ხაზგასმა ჩვენია, შ. გ.): მეცხრე შვილი მისი თეოდორე: მეათე შვილი მისი **კოსტანტინე** (კონსტანტინე II, ხაზგასმა ჩვენია, შ. გ.), **მეათერთმეტე ძმა მისი ლეონ: რ ნ (რომელმან) დაყო მეფობასა შინა თჳსსა წელიწადი ორმოცდახუთი** (რეალურად პირველი „მეფე აფხაზთა“, შ. გ.) ...“. ლეონამდე ჩამოთვლილი პირები, სავარაუდოა, რომ იყვნენ არა მეფეები, არამედ აფხაზეთის მმართველი – ერისთავები (პირველად მეფის ტიტული მიიღო ლეონმა, რაზეც ქვემოთ დეტალურად გვექნება საუბარი). **„მეფეთა დივანისეული“ კონსტანტინე I** ან **კონსტანტინე II** იხსენიება ბიჭვინთის ბულის ზემოთ განხილულ ბერძნულ წარწერაში; ამ დროს აფხაზეთის საერისთავო გამოყოფილია ეგრისის სამეფოსაგან და ის უშუალოდაა დაკავშირებული ბიზანტიის იმპერიასთან, წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს. როგორც სავარაუდოა, იმპერატორი აფხაზეთის მმართველ-სტრატეგოსსაც (ქართული ტრადიციით – „ერისთავსაც“) გაუგზავნიდა გარკვეულ ბულებს, მაგრამ ჩვენს მიერ განხილული ბულა, რომელზედაც იკითხება აფხაზეთის მთავრის სახელი **კონსტანტინე,** არის თავად აფხაზეთის მმართველის მიერ გაცემული. თავად ის ფაქტი, რომ არსებობდა იმდროინდელი აფხაზეთის მფლობელის ბულა, ბევრის მეტყველია. მიუხედავად იმისა, რომ VI საუკუნიდან მოყოლებული ეს მხარე ბიზანტიის იმპერიის შემადგენელი ნაწილია, მის მფლობელს, აფხაზეთის ერისთავს, საკმაოდ დიდი სუვერენული უფლებები ჰქონია. ბულებით იგზავნებოდა სუვერენული მმართველის მიერ გაცემული სიგელები, გადაწყვეტილებები, ბრძანებები. ბიზანტიაში საკმაოდ გავრცელებული იყო ეს პრაქტიკა; არსებობდა სხვადასხვა სოლიდიანი* ბულები. თუ რამდენ სოლიდიანი ბულით გაგზავნიდნენ ამა თუ იმ დოკუმენტს, ამას გაგზავნის დროს ადრესატთა პოლიტიკური რანგის მიხედვით წყვეტდნენ. მაგალითად, ბიზანტიელი ავტორის,

კონსტანტინე პორფიროგენეტის მიხედვით, (IX საუკუნეში) დიდი არმენიის „ერისთავთ-ერისთავს“ ეგზავნებოდა 3 სოლიდიანი ბულა; ხაზარეთის „ხაგანსაც“ (მეფეს) 3 სოლიდიანი ბულა; ალანიის „ერისთავს“, რუსეთის „ერისთავს“, თურქთა „ერისთავს“ და პაჭანიკთა „ერისთავებს“ 2 სოლიდიანი ბულები; რომის პაპს 1 სოლიდიანი ბულა; ალექსანდრიის პაპს (პატრიარქს) 1 სოლიდიანი ბულა; ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქებს 3 სოლიდიანი ბულები; ამირამუმნს* (ხალიფას) 4 სოლიდიანი ბულა; ფრანკთა მეფეს 1 სოლიდიანი ბულა; იბერიის კუროპალატს* და აბაზგიის მთავარს 2 სოლიდიანი ბულები.

მას შემდეგ, რაც ლეონ I-მა აფხაზეთის საერისთავო მემკვიდრეობით მფლობელობაში მიიღო, იმპერიის ეს სასაზღვრო თემი **„სენიორიადაც“*** შეიძლება ვივარაუდოთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არაბებისგან დევნილი ქართლის ერისმთავრები: მირი და არჩილი არ თმობენ პოზიციებს, იბრძვიან ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის და ამ საქმეში ბიზანტიასთან საკმაოდ მტკიცე კავშირს ამყარებენ. ახლა ვნახოთ რას მოგვითხრობს მემატიანე დასავლურ-ქართული სახელმწიფოს – „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბებაზე. XI საუკუნის ანონიმური თხზულება „მატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს: „რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულისწული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ“. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი გასაგებია და წყაროს აღნიშნული მონაკვეთი არ მოითხოვს დამატებით კომენტარს, მაგრამ ზოგი მკვლევარის აზრით, ლეონ II ჯერ გათავისუფლებულა ბიზანტიისაგან, მიუღია მეფის ტიტული და შემდეგ შეუერთებია თავისი სამეფოსთვის ეგრისი. როგორც ვხედავთ, წყაროს ციტირებული ადგილის მიხედვით მოვლენათა ასეთი თანამიმდევრობა არ დასტურდება. „მატიანე ქართლისა“-ში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ჯერ მოხდა ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება და შემდეგ უკვე სამეფოს შექმნა. გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს ერთი გარემოებაც: იმ ქართული სახელმწიფოს საბოლოო სახით ჩამოყალიბება, რასაც საფუძველი ჯერ კიდევ მირმა და არჩილმა ჩაუყარეს, მოხდა **„ბერძენთა მოუძლურების“** დროს, ანუ მაშინ, როდესაც ბიზანტია დასუსტდა და ამით ისარგებლა იმდროინდელმა აფხაზეთის ერისთავმა. **საინტერესოა, ის პროცესი, რომელიც მირმა და არჩილმა ქართული სახელმწიფოს შესაქმნელად (ან აღსადგენად) დაიწყეს ბიზანტიასთან მოკავშირეობით, რატომ დასრულდა ანტიბიზანტიური პოლიტიკით?** მირისა და არჩილის დაწყებული საქმე დასრულდა აფხაზეთში ლეონ II-ის ერისთავობის დროს და ბიზანტიის „მოუძლურების“ გამოყენებით. **რა მოხდა ბიზანტიასთან ურთიერთობაში ისეთი, რამაც განაპირობა პრობიზანტიური კურსით დაწყებული საქმის ანტიბიზანტიური პოლიტიკით დასრულება?** ამის გასარკვევად აუცილებელია ზუსტად განვსაზღვროთ, თუ

როდის ჩამოყალიბდა საბოლოოდ დასავლურ-ქართული სახელმწიფო, რომელსაც ეწოდა **„აფხაზეთი“.**

როგორც „მატიანე ქართლისას“ ზემოთ ციტირებული მონაკვეთიდან ვნახეთ, პირველად „აფხაზთა მეფის“ ტიტული მიიღო ლეონ II აფხაზეთის ერისთავმა. ის ყოფილა ერისთავ ლეონ I-ის ძმისწული, „რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი“. ლეონის გამეფების თარიღთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს აკად. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი წყარო ე. წ. „მეფეთა დივანი“. ეს არის „აფხაზთა მეფეების“ ჩამონათვალი. დოკუმენტში მითითებული მეფეთა ინდიქტიონების* მიხედვით, ექვთიმე თაყაიშვილმა ერთიანი საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ III-ის მეფობის წლებიდან უკუანგარიშით, მოგვცა მეფეთა ზეობის ერთგვარი ქრონოლოგია, რომლის მიხედვითაც ლეონს უმეფია 746-791 წლებში. ფაქტობრივად, ასეთივე ქრონოლოგია გაიზიარა აკად. ივანე ჯავახიშვილმაც, მაგრამ „მეფეთა დივანს“ ბევრი ნაკლი აქვს და ამის გამო, ჩვენ მარტო მის მონაცემებს ვერ დავეყრდნობით.

ლეონ II-ის გამეფებას ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი 786 წლით ათარიღებდა. მკვლევართა ნაწილი, ყოველგვარი დასაბუთებისა და დამატებითი არგუმენტაციის გარეშე, პირდაპირ ეყრდნობა ვახუშტისეულ ამ ქრონოლოგიას. ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენც ვიზიარებთ ლეონ II-ის გამეფების ვახუშტისეულ თარიღს, მაგრამ აუცილებლად მიგვაჩნია ამ მოსაზრების არგუმენტირება.

ლეონის გამეფებისა და, მაშასადამე, „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბების დროის შესახებ საუბრისას, შეუძლებელია არ განიხილო ამ პერიოდის ბიზანტიის იმპერიაში არსებული მდგომარეობა, რადგანაც ქართულ წყაროში პირდაპირაა მითითებული, რომ ლეონ II-მ ისარგებლა ბერძენთა „მოუძლურებით“. ამიტომ, გასარკვევია, ბიზანტიის ისტორიის რომელ მონაკვეთზეა წყაროში საუბარი, ანუ როდის „მოუძლურდა“ იმპერია ისე, რომ აფხაზეთის ერისთავმა შეძლო ბიზანტიისაგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვება.

როგორც ცნობილია, 717/719-740/741 წლებში ბიზანტიის იმპერატორი იყო ლეონ III. მან თავისი ვაჟი კონსტანტინე დააქორწინა ხაზართა მეფის ქალიშვილზე; მათ 750 წელს ვაჟი – ლეონი შეეძინათ. ეს ქორწინება, ცხადია, პოლიტიკური ნაბიჯი იყო საერთო მტრის – არაბების წინააღმდეგ ორი მნიშვნელოვანი ძალის – ბიზანტიისა და ხაზარეთის გასაერთიანებლად გადადგმული.

კონსტანტინე V-ის (741-775 წწ.) და განსაკუთრებით ლეონ IV „ხაზარის“ (775-780 წწ.) იმპერატორობის დროს, ბიზანტიამ საგარეო პოლიტიკაში დიდ წარმატებებს მიაღწია. ძალზე მნიშვნელოვანი იყო 778 წელს, ბიზანტიელების მიერ, არაბებზე მოპოვებული გამარჯვება გერმანიკუმთან*.

ლეონ IV-ის დედა ხაზართა მეფის შვილია. ქართული წყაროს მიხედვით, აფხაზეთის ერისთავის – ლეონ II-ის დედაც, ასევე, ხაზართა მეფის ასული

იყო. არ არის გამორიცხული, რომ ისინი ყოფილიყვნენ დები, ხოლო აქედან გამომდინარე, იმპერატორი ლეონ IV და აფხაზეთის ერისთავი ლეონ II – დეიდაშვილები. ბიზანტიაში ლეონ IV-ის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ძე, კონსტანტინე, მაგრამ ის მხოლოდ 10 წლის იყო და ამიტომ, ქვეყნის გამგებლობას შეუდგა მისი დედა, ირინა. იმპერიაში დაიწყო დიდი არეულობა. სამეფო კარზე არაერთი შეთქმულება მოეწყო. უნდა ითქვას ისიც, რომ გამოთქმული მოსაზრებით, ირინას თვითონ უნდა მოეწამლა და მოეკლა საკუთარი მეუღლე – ლეონ IV „ხაზარი". ბოლოს კი, ირინამ საკუთარი ვაჟი, კონსტანტინე VI ტახტიდან გადააყენა, დასაჯა და თავი ბიზანტიის იმპერატორად გამოაცხადა. 802 წელს ირინა თავადაც შეთქმულების მსხვერპლი გახდა. აკად. სიმონ ჯანაშია ვარაუდობდა, რომ სწორედ ამ დროს უნდა განეხორციელებინა ლეონ II-ს თავისი აქტი, რომ სწორედ ირინას ერთმმართველობის პერიოდი (797-802 წწ.) იყო ხელსაყრელი დრო აფხაზეთის ერისთავისათვის. ერთი სიტყვით, აკად. სიმონ ჯანაშია ქართულ წყაროში ნახსენებ ბერძენთა „მოუძლურების" ხანად VIII საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს მიიჩნევდა, კერძოდ, ირინას ერთმმართველობის პერიოდს.

უნდა ითქვას, რომ საგარეო პოლიტიკაში ირინას იმპერატორობამდე იმპერია წარმატებებს აღწევდა, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ქვეყნის შიგნით მიმდინარე რთული პროცესი. ირინას ერთმმართველობამდე გაცილებით ადრე, ბიზანტიის წარმატებები არ იყო დამყარებული ქვეყნის შინაგან სიმტკიცეზე. აქ საუბარია იმ მოვლენაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმპერიაში და რომელიც ცნობილია **ხატმებრძოლეობის** სახელით. ეს მოძრაობა ჯერ კიდევ VIII საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო. ბერძენთა „მოუძლურების" პერიოდის გარკვევას ხატმებრძოლურ მოძრაობასთან კავშირში, ყურადღება მიაქცია პროფ. შოთა ბადრიძემ. იგი „აფხაზთა სამეფოს" წარმოშობას უკავშირებს დროის დიდ მონაკვეთს: მე-8 საუკუნის დასაწყისიდან ამავე საუკუნის ბოლომდე. მართლაც, ბიზანტიის შინაგანი დასუსტება VIII საუკუნის დასაწყისიდან თუ არა, ყოველ შემთხვევაში, შუა წლებიდან ნამდვილად შესამჩნევია. ძლიერი იყო ხატმებრძოლეობის გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობაზე. ბერძენთა „მოუძლურება" დაიწყო არა იმპერატორ ირინას ერთმმართველობის დროს, არამედ გაცილებით უფრო ადრე. ეს პროცესი თანდათან ძლიერდებოდა და VIII საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვან ფაზას მიაღწია. ასევე, ერთიანი პროცესი იყო „აფხაზთა სამეფოს" ჩამოყალიბებაც, რომელიც ორი ეტაპისაგან შედგებოდა; უპირველესად, მოხდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანება, ხოლო შემდეგ – მისი სამეფოდ გადაქცევა. ეს იყო ორი, სხვადასხვა დროს, მაგრამ ორივე ბერძენთა „მოუძლურების" პერიოდში განხორციელებული აქტი.

ეგრისისა და აფხაზეთის გაერთიანება მოხდა ნებაყოფლობით. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება და მოგვიანებით ბიზანტიისაგან სრული განდგომა მსხვილი ფეოდალური წრის ზოგიერთ წარმომადგენელს არც სურდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ლეონ II

ეგრისელთა მხარდაჭერის გარეშე, მხოლოდ ბერძენთა „მოუძლურების“ გამოყენებით, ვერ შეძლებდა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებას, როგორიც იყო მის მიერ განხორციელებული აქტი. ეგრისსა და აფხაზეთს შორის რაიმე სერიოზული დაპირისპირება რომ ყოფილიყო, ამას, უეჭველია, პირველ რიგში, აფხაზეთის საწინააღმდეგოდ გამოიყენებდა ბიზანტიის იმპერია; იგი ამის გაკეთებას ადვილად შეძლებდა, რადგანაც ამ დროისათვის იმპერიის დასუსტება, ანუ წყაროს ენით რომ ვთქვათ, „მოუძლურება“ მართალია, დაწყებულია, მაგრამ ჯერ არ არის იმ ზღვარს მიღწეული, რომელსაც მან, „აფხაზთა სამეფოს“ საბოლოოდ ჩამოყალიბის დროს, VIII საუკუნის ბოლოს მიაღწია. ჩვენ ხელთ არსებული წყაროებიდან არ ჩანს არც ეგრისელთა და არც აფხაზეთის საერისთავოს წარჩინებულთა წინააღმდეგობა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისას. ასე რომ **ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება გამოწვეული იყო საერთო ინტერესებით.** რაც შეეხება ამ გაერთიანებაში და შემდგომ სამეფოს ჩამოყალიბებაში ხაზართა მონაწილეობას, აქ საქმე შემდეგშია: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მატიანე ქართლისა“ გადმოგვცემს, რომ ლეონ II ხაზართა ძალით **„გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა“**. ამ ადგილის ისე გაგება, თითქოს ლეონ II ხაზარებს იყენებს ეგრისის დასაპყრობად, დიდი შეცდომაა. აქ საუბარი სულ სხვა რამეზეა. ამიერკავკასიაში ერთმანეთს მკვეთრად უპირისპირდებოდა ბიზანტიისა და ხაზარეთის ინტერესები. სწორედ ამიტომ იყენებს ლეონ II ხაზარებს, როგორც ბიზანტიის წინააღმდეგ დასაყრდენ ძალას. ლეონ II ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებისას ხაზართა ძალას უპირისპირებს არა მის მოწინააღმდეგე ეგრისელებს, არამედ ბიზანტიის იმპერიას. რაც შეეხება წყაროში ნახმარ ტერმინს – „დაიპყრა“, აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ძველ ქართულ ენაში სიტყვა „დაიპყრა“-ს თანამედროვე ქართულში, ხშირად შეესატყვისება „დაეუფლა“, რაც სავსებით სწორადაა შენიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში.

როდესაც ლეონ I დაქორწინდა მირის ასულზე და ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა არჩილ ერისმთავარმა, ფაქტობრივად ამით ეყრება საფუძველი ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებას. შემდეგ, როდესაც „მატიანე ქართლისას“ ავტორი მოგვითხრობს „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბების შესახებ, ფაქტობრივად გადმოგვცემს სურათს, თუ როგორ დაეუფლა ლეონ II უკვე გაერთიანებულ ეგრის-აფხაზეთს. ავტორი „დაპყრობაში“ ხელისუფლების აღებას, „დაუფლებას“ გულისხმობს, ამიტომაა, რომ ის ერთნაირ კონტექსტში იხსენიებს აფხაზეთსაც და ეგრისსაც. აქ რომ თანამედროვე გაგებით „დაპყრობაზე“ იყოს საუბარი, მაშინ ლეონ II-ს აფხაზეთი მაინც არ ექნებოდა დასაპყრობი, ის ხომ ისედაც აფხაზეთის ერისთავი იყო.

ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებასთან დაკავშირებით; კერძოდ, მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს გაერთიანება მოხდა ბიზანტიის იმპერიის სანქციით. ჩვენ ზემოთ განვიხილეთ წყაროს ცნობა ეგრის-აფხაზეთის გაერთიანების თაობაზე. როგორც დავინახეთ,

ლეონმა ეგრის-აფხაზეთის დაუფლების დროს, ისევე როგორც შემდეგ, თავის მეფედ გამოცხადებისას, გამოიყენა ხაზართა ძალა. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება, ისევე როგორც „აფხაზთა სამეფოს“ საბოლოოდ ჩამოყალიბება, არ იყო მისაღები ბიზანტიის იმპერიისათვის.

ჩვენთვის საინტერესოა, თუ რატომ ხდება ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება და მოგვიანებით, უკვე ლეონ II-ის დროს, „აფხაზთა სამეფოს“ შექმნა ბიზანტიელთა „მოუძლურების“ პერიოდის გამოყენებით მაშინ, როდესაც არჩილის მიერ განხორციელებული ქორწინების (ლეონ I-ისა და მირის ასულის) დროს ყოველივე თითქოს ბიზანტიის ხელშეწყობითა და ბიზანტიასთან მოკავშირეობით მიმდინარეობდა. გავყვეთ მსჯელობას და გავაგრძელოთ საუბარი ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებისა და „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბების დროის შესახებ. ამ მხრივ, ძალზე საინტერესოა ქართველი მწერლის იოანე საბანისძის თხზულება **„აბო ტფილელის მარტვილობა“.** მასში აფხაზეთის სათავეში მდგომი პიროვნება „მთავრად“ იხსენიება. მაშასადამე, ის ჯერ კიდევ არ არის „მეფე“. აფხაზეთის მფლობელი დგას დამოუკიდებლობის გზაზე, მაგრამ საბოლოო მიზანი ჯერ არ არის მიღწეული. თხზულების ავტორი აფხაზეთის „მთავარს“ იხსენიებს ქართლის ერისმთავრის – ნერსეს ხაზარეთიდან აფხაზეთში ჩასვლასთან დაკავშირებით. ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა VIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, ხოლო თხზულება VIII საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაიწერა (უკანასკნელ პერიოდში, პროფ. ზაზა ალექსიძემ ნერსე ერისმთავრის ცხოვრებასთან დაკავშირებით მოგვცა დათარიღების მისეული ვარიანტი. მისი თქმით, „ნერსე ერისმთავარი აფხაზეთიდან ქართლში დაბრუნდა 781 წელს... და აღესრულა, ალბათ, უფრო დაჰკარგა ერისმთავრობა, 782 წელს...“). ძალზე საინტერესოა, რომ საბანისძეს მინიშნებაც კი არა აქვს ეგრისზე. VIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში უკვე სახელწოდება „აფხაზეთი“ ფართო ცნებადაა ქცეული და ფაქტობრივად მთელ ლიხთიმერეთს აღნიშნავს, ხოლო ეგრისის თუ აფხაზეთის (საერისთავოს) სახელწოდებანი, როგორც ცალ-ცალკე ადრე არსებულნი, დავიწყებასაა მიცემული. მაშასადამე, მე-8 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის (781/882 წელს) უკვე გაერთიანებული დასავლეთ საქართველოს სათავეში დგას „მთავარი“ და არა „ერისთავი“, მაგრამ ჯერ კიდევ არა „მეფე“.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება და „აფხაზთა სამეფოს“ წარმოქმნა დასავლურ-ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესის სხვადასხვა ეტაპებს ასახავს. ეგრისისა და აფხაზეთის გაერთიანებით დასავლეთ საქართველოს არ მიუღწევია ბიზანტიის იმპერიისაგან სრული დამოუკიდებლობისათვის. **„აფხაზთა სამეფოს“ შექმნა იყო გარკვეული პროცესის დასრულების ეტაპი. ამ პროცესის სახით კი, ჩვენ საქმე გვაქვს დასავლეთ საქართველოს ბიზანტიის იმპერიისაგან განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.** სწორედ ამ მხრივ, ყველაზე მისაღებია პავლე ინგოროყვას დებულება, რომ მოხდა „განთავისუფლება როგორც აფხაზეთისა, ისე დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიებისა ბიზანტიის იმპერიის ბატონობისაგან“. რაც შეეხება

ამ პროცესის უკანასკნელ ეტაპს, ანუ სამეფოს საბოლოოდ ჩამოყალიბებას, ეს უნდა მომხდარიყო VIII საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში.

ლეონის გამეფებასთან დაკავშირებით, „მატიანე ქართლისას“ ავტორი წერს, რომ ლეონმა „სახელ-იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ“. ვახუშტის მიხედვით, იოანე გარდაიცვალა 786 წელს, ხოლო ჯუანშერი – 787 წელს. თუ ვახუშტის ამ ცნობას გავიზიარებთ და შევადარებთ „მატიანე ქართლისას“ ციტირებულ მონაკვეთს, გამოდის, რომ ლეონ II გამეფებულა 786-787 წლებში (იოანეს გარდაცვალებიდან ჯუანშერის გარდაცვალებამდე პერიოდში). **მაშასადამე, VIII საუკუნის 70-იანი წლების ბოლო პერიოდამდე ან 80-იანი წლების დასაწყისამდე (781/782 წლამდე) ლეონი იყო აფხაზეთის ერისთავი, ამავე პერიოდიდან დაახლოებით 786/787 წლამდე – გაერთიანებული ეგრის-აფხაზეთის მთავარი, ხოლო 786/787 წლიდან უკვე „აფხაზთა მეფე“.**

ერთი სიტყვით, **ჩვენი აზრით, „აფხაზთა სამეფო“ საბოლოოდ ჩამოყალიბდა არა იმპერატორ ირინას ერთმმართველობის დროს (797-802 წწ.), როგორც ეს მიჩნეული იყო, არამედ უფრო ადრე, როცა ირინა შვილის – კონსტანტინეს მცირეწლოვანების გამო, ფაქტობრივად ქვეყანას განაგებდა. სწორედ ირინასა და კონსტანტინეს ერთად მოღვაწეობის პერიოდში (780-797 წწ.) ისე „მოუძლურდა“ იმპერია შინაგანი არეულობით, რომ ლეონ II-ს მიეცა ბიზანტიის საწინააღმდეგო მოქმედების საშუალება; ხოლო 797 წლიდან, ანუ ირინას ერთმმართველობის დროიდან, იმპერიის დასუსტებამ VIII საუკუნისათვის უმაღლეს წერტილს მიაღწია, რამაც საბოლოოდ გაამყარა ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული „აფხაზთა სამეფოს“ მდგომარეობა.**

ჩვენ განვიხილეთ „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბების პროცესთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები, ანუ ეგრისისა და აფხაზეთის გაერთიანების და საბოლოოდ „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბების საკითხები. ვნახეთ, რომ ქართლის ერისმთავრები მირი და არჩილი „არაბობის“ პერიოდში **ბიზანტიასთან მოკავშირეობით** აქტიურ ნაბიჯებს დგამენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. არჩილისა და აფხაზეთის ერისთავ ლეონ I-ის მოკავშირეობით, მირის ასულ გურანდუხტისა და ლეონ I-ის ქორწინებით, საფუძველი ეყრება ეგრისისა და აფხაზეთის გაერთიანებას. არჩილის მემკვიდრეების – იოანესა და ჯუანშერის შემდეგ, აწ უკვე გაერთიანებულ ეგრის-აფხაზეთს დაეუფლა ლეონ II, ძმისწული ლეონ I-ისა, მაგრამ ამჯერად ეს პროცესი **ბიზანტიასთან დაპირისპირების ფონზე** მიმდინარეობს. რა შეიცვალა ბიზანტიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით არჩილ ერისმთავრის პოლიტიკიდან მოყოლებული ლეონ II-ის დასავლეთ საქართველოში გამეფებამდე? როგორც ვთქვით, „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბება დაკავშირებულია ბიზანტიელთა დასუსტებასთან; აღვნიშნეთ, რომ ამ „მოუძლურების“ პერიოდად მიგვაჩნია იმპერიაში მიმდინარე ხატმებრძოლეობის ხანა. 730 წელს, ბიზანტიის იმპერატორ ლეონ III-ის დროს გამოიცა სპეციალური ედიქტი, რომლის ძალითაც იმპერიის ტერიტორიაზე

ხატმებრძოლეობა უკვე ოფიციალურ რელიგიურ მიმდინარეობად გამოცხადდა. ხატების თაყვანისცემა ოფიციალურად აიკრძალა. ეს იყო, პირველყოვლისა, რელიგიური გადაწყვეტილება, რასაც მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესები ედო საფუძვლად. ხატმებრძოლეობა, გარდა წმინდა რელიგიური მომენტისა, უკავშირდება ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებას, საეკლესიო მსხვილ მიწათმფლობელობას და სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხს. სახელმწიფოებრივად, იმდროინდელი აფხაზეთი, როგორც ვთქვით, VI საუკუნიდან მოყოლებული, თანდათან ეყოფა ეგრისს და ბიზანტიის იმპერიის შემადგენელი ნაწილი ხდება. აფხაზეთის ეკლესია, ისევე როგორც მთელი დასავლეთ საქართველოს (ეგრის-აფხაზეთის) საეკლესიო ცენტრები, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაშია (დაქვემდებარებაშია). ბუნებრივია, როდესაც იმპერიაში ეკლესია დაადგა ხატმებრძოლეობის გზას, მის იურისდიქციაში შემავალი დასავლურ-ქართული ეკლესიაც ან ამ გზას უნდა დადგომოდა, ან მთლიანად გამიჯვნოდა მას. როგორც შემდგომი მოვლენები ცხადყოფენ, აფხაზეთი (სახელმწიფოებრივად ჯერ კიდევ ბიზანტიის შემადგენელი ნაწილი-საერისთავო) დარჩა ხატთაყვანისმცემელი, ანუ ეკლესიური განხეთქილება სახეზეა და აშკარადაა შესამჩნევი. აფხაზეთის იმდროინდელმა ერისთავმა ლეონ I-მა აფხაზეთი მემკვიდრეობით მფლობელობაში ბიზანტიისაგან მიიღო. ამის შემდეგ, ჯუანშერის ცნობით, ის ქართლის ერისმთავარ არჩილთან გარკვეულწილად ვასალურ ურთიერთობაში შედის. **საფიქრებელია, რომ ლეონ I ბიზანტიისგან აფხაზეთს მემკვიდრეობით მფლობელობაში იღებს იმპერიაში ხატმებრძოლეობის ოფიციალურ რელიგიურ მიმდინარეობად გამოცხადებამდე, ხოლო ხატმებრძოლეობის დროს არჩილთან ვასალურ ურთიერთობაში შედის. ჩვენი აზრით, ხატმებრძოლეობამ, აფხაზეთისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიების დაპირისპირებამ და ერთიანი ეკლესიური ორგანიზმის სავარაუდო გახლეჩამ, ან სერიოზულმა საეკლესიო კონფლიქტმა, ლეონ I-ს უბიძგა აფხაზეთის საერისთავოს ბიზანტიის იმპერიისაგან პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენაც და სწორედ ამ პროცესის დასაწყისად არჩილ ერისმთავართან ვასალური კავშირის დამყარება მიგვაჩნია. არჩილის აქტიურმა ქმედებამ (აღედგინა ქართული სახელმწიფოებრიობა) და ბიზანტიის ხატმებრძოლეობამ, განაპირობა აფხაზეთის საერისთავოს კვლავ ეგრისთან გაერთიანება.** ხატმებრძოლეობის გამო იმპერია დიდ წინააღმდეგობებს შეეჯახა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაც საკმაოდ სერიოზულად შეერყა პოზიცია. ფაქტობრივად, შეირყა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ ეკლესიათა ერთიანობა. ეკლესიათა ნაწილმა (და მათ შორის ეგრის-აფხაზეთის ეპარქიებმა) კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ხატმებრძოლური კურსი მიუღებლად მიიჩნია და ბუნებრივია, სამომავლოდ ამგვარ ეკლესიასთან ერთიანობა შეუძლებელი იქნებოდა. ლეონ II აფხაზეთის ერისთავად მე-8 საუკუნის II ნახევრიდან მოიაზრება. ამ დროს ბიზანტიაში ხატმებრძოლეობა ჯერ კიდევ აქტიურ ფაზაშია. ჩანს, **ლეონ II-მ გააგრძელა არჩილის და ლეონ I-ის პოლიტიკა.** მაგრამ თუ არჩილი თავდაპირველად ქართული სახელმწიფოს

აღდგენისთვის ბიზანტიასთან, ხაზს ვუსვამთ – **ხატთაყვანისმცემელ** ბიზანტიასთან მოკავშირედ გამოდიოდა, შემდეგ უკვე **ხატმებრძოლ** იმპერიასთან მოკავშირეობა მიუღებელი ხდება როგორც პოლიტიკურად, ასევე რელიგიური კუთხითაც.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ **„არაბობის“ ხანაში, ქართლის ერისმთავრები მირი და არჩილი პრობიზანტიური პოლიტიკით იწყებენ აქტიურ მოქმედებას ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის. ბიზანტიაში დაწყებულმა ხატმებრძოლეობამ, რასაც 730 წელს უკვე ოფიციალური რელიგიური მიმდინარეობის სტატუსი მიეცა, გახლიჩა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ ეკლესიათა ერთობა. ამ პროცესმა აფხაზთა საერისთავოს სახელმწიფოებრივადაც ბიზანტიის იმპერიისაგან გამოყოფა და ლეონ I-ის არჩილ ერისმთავართან ვასალური დამოკიდებულება განაპირობა. დინასტიური ქორწინებით გაერთიანებული ეგრის-აფხაზეთი უკვე ანტიბიზანტიურ კურსს დაადგა. მე-8 საუკუნის II ნახევარში ლეონ II-მ გააგრძელა არჩილის და ლეონ I-ის პოლიტიკა და ის წარმატებითაც დაასრულა. მან დაასრულა დასავლურ-ქართული სახელმწიფოს აღდგენა-ჩამოყალიბების პროცესი, რასაც საფუძველი მირისა და არჩილის დროს ჩაეყარა. ბიზანტიაში მიმდინარე ხატმებრძოლეობამ განაპირობა ის, რომ მირისა და არჩილის დროს პრობიზანტიური პოლიტიკით დაწყებული ქართული სახელმწიფოს აღდგენის პროცესი დასრულდა ლეონ II-ის დროს უკვე ანტიბიზანტიური პოლიტიკის ფონზე, დასავლურ-ქართული სახელმწიფოს – „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბებით.**

„აფხაზთა სამეფოს“ საზღვრები და ტერიტორიული დაყოფა

„აფხაზთა სამეფო“ ტერიტორიულად მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. აღმოსავლეთით ის ლიხის ქედამდე ვრცელდებოდა, დასავლეთით მას შავი ზღვა ესაზღვრებოდა, ჩრდილოეთით უკიდურესი საზღვარი იყო ნიკოფსია, რომელიც არის დღევანდელი მდ. ნეგოფსუხოს შესართავთან, ქ. ტუაფსედან ჩრდილოეთით, დაახლოებით 20 კმ-ზე. „აფხაზთა სამეფოს“ დასავლეთის, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის საზღვრების შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ მკვლევართა შორის არ არის აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ სადავოა ამ სახელმწიფოს სამხრეთის საზღვრის საკითხი, კერძოდ, შედიოდა თუ არა ტრაპეზუნტის მხარე მის შემადგენლობაში.

სომხური ანონიმური გეოგრაფიის მიხედვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს მხარე მართლაც შედიოდა „აფხაზთა სამეფოს“ შემადგენლობაში. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ კოლხეთის შემადგენლობაშია **„ჭანი-ვი, რომელიც არის ხალტიკა“** და სხვა ქალაქებთან ერთად: „ათინა,“ „რიზონი“ და „ტრაპეზუნტი“. მაგრამ მარტო ამ წყაროს საფუძველზე, ამა თუ იმ მოსაზრების მტკიცება ძნელია; ამ წყაროში ბევრი რამ უფრო ძველი სიტუაციის ანარეკლია.

„აფხაზთა სამეფოს“ შემადგენლობაში ტრაპეზუნტის მხარის არსებობის დამადასტურებლად პ. ინგოროყვას მიაჩნდა 787 წლის VII მსოფლიო საეკლესიო კრების აქტები. მათ, სხვებთან ერთად, ხელს აწერს **„ქრისტეფორე ეპისკოპოსი ფაზისისა, ანუ ტრაფეზუნტისა“.** ფაქტობრივად, ტრაპიზონი ამ დროს ეკლესიურად დასავლეთ საქართველოსთან ჩანს დაკავშირებული, მაგრამ ამ საეკლესიო დოკუმენტსაც მთლიანად ვერ დავეყრდნობით, რადგანაც ამ პერიოდში დასავლეთ საქართველო ეკლესიურად ჯერ კიდევ ბიზანტიის იმპერიისაგან გამოყოფილი არ ჩანს. ზ. ანჩაბაძეს მიაჩნდა, რომ 787 წლისათვის ტრაპეზუნტის ეპისკოპოსი იქნებოდა ფაზისის ეპისკოპოსიც და ამ მოსაზრებას, ბუნებრივია, ლოგიკური არგუმენტაცია მოეძებნება. ძნელია ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, რომ ფაზისის (ფოთი) და ტრაპიზონის ეპისკოპოსი ერთი და იგივე პიროვნებაა იმიტომ, რომ იმხანად ეს ერთი საეპისკოპოსო იყო. არ გამოვრიცხავთ, რომ ქრისტეფორე შეიძლება იყო ორი ეპარქიის სათავეში მყოფი ეპისკოპოსი და ის მოიაზრებოდა, როგორც დამოუკიდებელ ეპარქიათა მეთაური და არა პირიქით, ერთი, გაერთიანებული ეპარქიის სათავეში მყოფი ეპისკოპოსი.

ტრაპეზუნტი **„ლაზიკის ქალაქად“** არის მოხსენიებული ეპიფანე კონსტანტინეპოლელის **„ანდრიას ცხოვრებაში“**. საერთოდ, ამ წყაროშიც ბევრი უზუსტობაა, თუმცა, **ისიც საეჭვოა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი წყაროები, ასე ერთიანად, ყველა ცდებოდეს ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით; ყოველი მათგანი ადასტურებს ერთსა და იმავეს, რომ ტრაპიზონის მხარე დასავლურ-ქართულ სახელმწიფოს შემადგენლობაშია,** მაგრამ მაინც მივყვეთ არსებულ წყაროთა მონაცემებს.

ის მკვლევარნი, რომლებიც არ იზიარებენ მოსაზრებას „აფხაზთა სამეფოს“ შემადგენლობაში ტრაპეზუნტის მხარის არსებობის შესახებ, ძირითადად ეყრდნობიან იოანე საბანისძის თხზულებას **„აბო ტფილელის მარტვილობა“** და ე. წ. **„ეკთეზისებს“, „ნოტიციებს“** ანუ კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ საეკლესიო კათედრათა ნუსხებს. იოანე საბანისძის თხზულების შესახებ, დაწვრილებით, ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ, ახლა კი შევეხებით „ნოტიციებში“ დაცულ ცნობებს. ეს არის ნუსხები იმ ეპარქიების, რომლებიც ექვემდებარებოდნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. „ნოტიციებში“ არის ამ ეპარქიათა ჩამონათვალი სხვადასხვა საუკუნეების მიხედვით. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, მართლაც შეიძლება მკვლევარს დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ქალდიის მხარე ბიზანტიის შემადგენელი ნაწილია და ის ეგრის-აფხაზეთის იმდროინდელ საზღვრებში არ შედის. როდესაც ვახდენთ „ნოტიციათა“ დეტალურ ანალიზს, უფრო მეტ წინააღმდეგობებსაც ვაწყდებით, რადგანაც ხშირად, იქ საკმაოდ გაურკვეველი ფაქტებია დაფიქსირებული. მაგალითად, № X ბ „ნოტიციით“, რომელიც თარიღდება 901-907 წლებით, შემდეგი სურათია წარმოდგენილი: დასავლეთ საქართველო იმ დროს, როცა პოლიტიკურადაც და ეკლესიურადაც სრულიად გამოყოფილია ბიზანტიის იმპერიისაგან, სებასტოპოლის არქიეპისკოპოსი კვლავ ექვემდებარება

კონსტანტინოპოლის პატრიარქს. მაშინ გამოდის, რომ არც სებასტოპოლი (ცხუმი) შედიოდა „აფხაზთა სამეფოში“, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია. მიგვაჩნია, რომ 901-907 წლის № 10 ბ ნუსხაში სებასტოპოლის მოხსენიება გამოწვეულია გარკვეული უზუსტობით, რაც საბოლოო ჯამში წყაროს სანდოობას ეჭვის ქვეშ აყენებს. გარდა ამისა, **როდესაც საუბარია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ კათედრებზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა, აღნიშნული „ნოტიციები“ არ ასახავდნენ რეალურ სურათს და ნუსხაში ამა თუ იმ ეპარქიის ან საეკლესიო ცენტრის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულად მოხსენიება შეიძლება ბიზანტიის სურვილი უფრო იყოს და ძველი გავლენისათვის ხაზის გასმა (ანუ საკუთარი მისწრაფებისა თუ პრეტენზიის დაფიქსირება), ვიდრე იმდროინდელი რეალური ვითარების ასახვა.**

როგორც აღვნიშნეთ, „ნოტიციების“ გარდა, ყველა განხილული წყარო პირდაპირ მოწმობს ტრაპეზუნტის მხარის არსებობას „აფხაზთა სამეფოს“ შემადგენლობაში. მაგრამ, თუ გარკვეული მიზეზების გამო, შეიძლება მათ და ასევე „ნოტიციების“ მონაცემების სანდოობაში ეჭვის შეტანა, ამას ვერ ვიტყვით იოანე საბანისძის თხზულების შესახებ, რომელიც აღნიშნულ წყაროებთან შედარებით მეტი სანდოობით გამოირჩევა. აი, რას წერს განსახილველი საკითხის ირგვლივ იოანე საბანისძე: აბომ იხილა „ქუეყანა იგი სავსჱ ქრისტჱს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკჳდრად იპოვების საზღვართა მათთა. რამეთუ საზღვარ მათდა არს ზღუაჲ იგი პონტოჲსაჲ, სამკჳდრებელი ყოვლადვე ქრისტეანეთაჲ, მისაზღვრადმდე ქალდიაჲსა, ტრაპეზუნტიაჲ მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეაჲსა და ნაფსაჲ ნავთსადგური. და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად ქრისტჱს – მსახურისა იონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კონსტანტინეპოვლისასა“. ციტირებულ ტექსტში მნიშვნელოვანია „აფხაზთა სამეფოს“ სამხრეთი საზღვრის საკითხი, კერძოდ, რას ნიშნავს **„მისაზღვრადმდე ქალდიაჲსა“? ქალდიის მხარე (ტრაპიზონის ოლქი) შედიოდა თუ არა „აფხაზთა სამეფოს“ საზღვრებში?** ჩვენი აზრით, ტექსტიდან გამომდინარე, ეს მხარე შედიოდა „აფხაზთა სამეფოს“ საზღვრებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთგვარად გაუგებარია, რატომ ასახელებს საბანისძე დაწვრილებით იმ ადგილებს, რომლებიც არ შედის „აფხაზთა სამეფოს“ შემადგენლობაში, მაშინ, როცა „აფხაზეთზე“ საუბრობს. ამის თაობაზე, ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი წერდა: „სრულიად მოულოდნელი, უცნაური და უწიგნური წერის მაგალითი იქნებოდა (რაც საბანისძეს არ ახასიათებს), თუ დავუშვებთ, რომ ავტორი უმიზეზოდ მოჰყვა იმაზე საუბარს, თუ რა ღირსშესანიშნავი ადგილებია აფხაზეთის მოსაზღვრე ქალდიაში“. ციტირებულ ადგილას წერია, რომ ქალდია არის **„იონთა მეფის“** საბრძანებელი. იმავე თხზულებიდან ირკვევა, რომ აწ უკვე გაერთიანებული ეგრის-აფხაზეთის სათავეში დგას „მთავარი“ და არა მეფე. ე. ი. ჯერ ეგრის-აფხაზეთი არ არის სამეფოდ ჩამოყალიბებული (ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, როდესაც „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბების საკითხს

ვიხილავდით); მაშასადამე, აფხაზეთის მთავარი ჯერ არ არის დამოუკიდებელი ხელისუფალი. „იონთა მეფე“ კი, სიუზერენია. „მთავარი“ ამ დროისათვის ჯერ კიდევ მეფის „საბრძანებელშია“. მაშასადამე, თუ იოანე საბანისძის მიერ დასახელებული ქალდიის მხარე არ შედის „აფხაზთა სამეფოში“, გამოდის, რომ ავტორის ცნობით, მხოლოდ ეს მხარე ყოფილა **„იონთა მეფის საბრძანებელი“**, ხოლო აფხაზეთი ამ „საბრძანებლისაგან“ ცალკეა, რაც არასწორია. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ აფხაზეთში შედიოდა „ქალდიის მხარე“ და „იონთა მეფის“ „საბრძანებელს“ წარმოადგენდა არა აფხაზეთის საზღვრებს გარეთ არსებული აღნიშნული ტერიტორია, არამედ მთელი ეგრის-აფხაზეთი ტრაპიზონის მხარის ჩათვლით. საბანისძის ტექსტს კარგად თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ის საუბრობს იმ მორწმუნე მხარეზე, რომელიც აბომ „იონთა მეფის“ საბრძანებელში იხილა... საბანისძე აღნიშნულ პუნქტებს იმიტომ ჩამოთვლის, რომ ხაზი გაუსვას სწორედ ამ სამეფოს (თუ ჯერ კიდევ სამთავროს) საზღვრებს. როდესაც ავტორი წერს: **„და არავინ ურწმუნოთაგანი მკჳდრად იპოვების საზღვართა მათთა“**, ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ არავინ იყო ურწმუნო ამ ქვეყნის საზღვრებში, „იონთა მეფის“ საბრძანებელში. ამასთანავე, ძალზე მნიშვნელოვანია ის პუნქტები, რომლებიც მოხსენიებულია საბანისძის თხზულების ციტირებულ ადგილში, ესენია: **„საყოფელი იგი აფსარ-ეაჲსა“** და **„ნაფსაჲს ნავთ-სადგური“**. აქ საუბარი უნდა იყოს გონიოსა და ნიკოფსიაზე. აქედან გამომდინარეობს, რომ საბანისძე ასახელებს სამეფოს უკიდურეს სამხრეთ (ტრაპეზუნტი), ცენტრალურ (გონიო) და ყველაზე ჩრდილოეთ (ნიკოფსია) პუნქტებს. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ სწორედ ამ პუნქტებთან იყო დაკავშირებული დასავლეთ საქართველოში გადმოცემები ქრისტიანობის გავრცელების შესახებ თვით მოციქულთა მიერ. სამხრეთით მდებარე **ტრაპეზუნტი** არის ის პუნქტი, სადაც იქადაგა ანდრია მოციქულმა და საიდანაც იგი შემოვიდა საქართველოში; **აფსარი** არის პუნქტი, სადაც, გადმოცემით, დასაფლავებული იყო ანდრიას თანამოღვაწე მოციქული მატათა; ჩრდილოეთ მხარეში მდებარე **ნაფსაჲს ნავთ-სადგური** (ნიკოფსია) არის პუნქტი, სადაც, გადმოცემით, დასაფლავებული იყო ანდრიას მეორე თანამოღვაწე, მოციქული სიმონ კანანელი“. ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და აღვნიშნავთ: **იოანე საბანისძის თხზულებაში დაცული ცნობიდან ირკვევა, რომ ტრაპეზუნტის მხარე შედიოდა იმდროინდელი „აფხაზეთის“ შემადგენლობაში. მხოლოდ ამ წყაროს მონაცემზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ზუსტ ცნობებს გვაწვდიან ისეთი წყაროებიც, როგორიცაა სომხური ანონიმური გეოგრაფია და ეპიფანე კონსტანტინეპოლელი; ჩვენი აზრით, ეს ჩამოთვლილი წყაროები, მიუხედავად გარკვეული მათი უზუსტობებისა, შეუძლებელია, ერთნაირად ცდებოდნენ ამ კონკრეტულ საკითხთან – ტრაპიზონის მხარის „აფხაზთა სამეფოს“ საზღვრებში მოქცევასთან დაკავშირებით.**

როგორც ჩანს, „აფხაზთა სამეფოს“ სამხრეთის საზღვარი შეიცვალა და მოგვიანებით ტრაპიზონის („ქალდიის“) მხარე ბიზანტიამ დაიკავა.

იოანე საბანისძის თხზულების მიხედვით, თუ ეგრის-აფხაზეთის გაერთიანების დროს ლეონ II VIII საუკუნის 80-იან წლებში, „აფხაზთა სამეფოს“ საბოლოოდ ჩამოყალიბებამდე ფლობდა ტრაპიზონის, ანუ ქალდიის მხარესაც, X საუკუნის I ნახევარში, ეს საზღვარი გადმოწეულია და ბიზანტიელი ავტორის, კონსტანტინე პორფიროგენეტის მიხედვით, ქალდიის მხარე „აფხაზეთის“ შემადგენლობაში აღარ იგულისხმება, „აფხაზთა სამეფო“ ამჯერად რიზეს ოლქს მოიცავს. უფრო მეტიც, კონსტანტინე პორფიროგენეტის ნაშრომი, მიჩნეულია, რომ შეიქმნა სხვადასხვა ნაშრომთა, დოკუმენტთა, მოხსენებათა შეკრებითა და ერთიანი რედაქტირებით. ალბათ, ამის მიზეზითაა, რომ ჩვენს მიერ განხილულ საკითხთან დაკავშირებით, კონსტანტინე პორფიროგენეტი თავის ნაშრომის სხვა ადგილას, „აფხაზთა სამეფოს“ საზღვრის შესახებ კიდევ დამატებით, განსხვავებულ მასალას გვაწვდის. ავტორი წერს: **„აჭარის წყლის გასწვრივი ქვეყანა, რომელიც რომანიის მოსაზღვრე იყო კოლორისთან“.** ე. ი. აჭარა ესაზღვრება ბიზანტიას (რომანიას) კოლორისთან, ხოლო „კოლორი“ გაიგივებული ტოპონიმ „ყოროლისთან“ უკავშირდება მდ. ყოროლისთავს (მდ. ჭოროხის შესართავის პარალელურ მდინარეს).

ნიკოფსია
ბიზანტია
ტრაპეზუნტი
ბიზანტია
ბიზანტია
ბიზანტია

საზღვარი, კვლავ შეცვლილა და X საუკუნის I ნახევარშივე მდ. ყოროლისთავამდე გადმონაცვლებულა.

თუ ლეონ II ფლობდა ტერიტორიებს ქალდიის მხარის ჩათვლით, რა მიზეზით დაკარგა „აფხაზთა სამეფომ“ ტრაპიზონის (ქალდიის) მხარე? როგორც ჩანს, ამის მიზეზი გახდა IX საუკუნეში „აფხაზთა სამეფოში“ ბიზანტიელთა ლაშქრობები, რაზეც მოგვითხრობს ბიზანტიური წყარო – ე. წ. თეოფანეს გამგრძელებელი. მართლაც, არაა გამორიცხული, რომ ამ ლაშქრობების დროს ბიზანტიას მიეტაცა აღნიშნული ტერიტორია (ქალდიის (ტრაპიზონის) მხარე). ჩვენ ცოტა სხვა კუთხით გვინდა შევხედოთ ამ საკითხს: ტრაპიზონის მხარე (ქალდია) ლეონ II-ის საგამგებლოში შედის იოანე საბანისძის თხზულების მიხედვით, რომელიც ასახავს VIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისის ვითარებას. როდესაც „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბების ისტორიაზე ვსაუბრობდით, ვნახეთ, რომ აღნიშნულ პერიოდში ეგრისი და აფხაზეთი გაერთიანებულია, მაგრამ ჯერ კიდევ ლეონ II არ არის „მეფე“, არამედ „მთავარია“, ანუ „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბების პროცესი დასრულებული არაა. „მატიანე ქართლისას“ მიხედვით, ლეონ II განუდგა იმპერიას, დაიკავა ეგრისი და აფხაზეთი, რაშიც მას ხაზართა ძალის გამოყენება დასჭირდა. მიგვაჩნია, რომ „ბერძენთა მოუძლურების“ დროს, ლეონ II-მ დაიკავა მთელი ტერიტორია, რომელზეც ეგრისის სამეფო ვრცელდებოდა და, მათ შორის, დაიკავა ტრაპიზონის (ქალდიის) მხარეც. წყაროსეული „ბერძენთა მოუძლურება“ უკავშირდება ხატმებრძოლეობას; როდესაც ბიზანტიამ აირჩია ხატთაყვანისმცემელთა ოფიციალური დევნა, მაშინ ხდება აფხაზეთის და ეგრისის ბიზანტიისაგან ჩამოცილება. 80-იან წლებში ბიზანტიაში კვლავ აღდგა (თუმცა ჯერ კიდევ არაოფიციალურად) ხატთაყვანისცემა, მაგრამ ამ დროს ეგრისსა და აფხაზეთს უკვე გაერთიანებულად ფლობს ლეონ II აფხაზეთის ერისთავი (მთავარი). სავარაუდოდ, ბიზანტია ეცდებოდა იმ ქრისტიანული ქვეყნების კვლავ შემომტკიცებას, რომლებიც რელიგიური პოლიტიკის გამო ჩამოსცილდნენ. ამიტომაც, იმპერიაში ხატთაყვანისცემის კვლავ აღდგენიდან მოყოლებული (VIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისი) ბიზანტია, ალბათ, გარკვეული პერიოდი შეურიგდებოდა ლეონ II-ის, ანუ ბიზანტიის აწ უკვე ყოფილი მოხელის, „სტრატეგოს“ (ერისთავის) მიერ ეგრისის შემომტკიცებას და ამას იმპერიის საზღვრების გაფართოებადაც აღიქვამდა. იოანე საბანისძის თხზულებაში სწორედ ეს პერიოდია აღწერილი და ამიტომაც ლეონ II-ის საგამგებლო ტრაპიზონის (ქალდიის) მხარის ჩათვლით მოიაზრება; ბიზანტია ჯერჯერობით არ აცხადებს ამ რეგიონზე პრეტენზიას და ცდილობს ლეონ II-ის „შემორიგებას“ და უკვე მთელი დასავლეთ საქართველოს (ეგრის-აფხაზეთის) უშუალოდ საკუთარ საზღვრებში შემომტკიცებას. მაგრამ, მიუხედავად ბიზანტიაში აღდგენილი ხატთაყვანისმცემლობისა, ლეონ II მაინც არ „ურიგდება“ ძველ სიუზერენს – ბიზანტიის იმპერიას; ჩანს, ამის გამო, იმპერიამ ძველი მოხელის დასჯა გადაწყვიტა და მის საწინააღმდეგოდ ძალაც გამოიყენა. ამაზე მეტყველებს „მატიანე ქართლისას“ ცნობა, რომ ლეონ II-ს

ხაზართა ძალა დასჭირდა. აქედან გამომდინარე, დასაშვებია, რომ ლეონ II აფხაზეთის ერისთავი, როდესაც ეგრის-აფხაზეთი ერთიანდება, დაეუფლა ტრაპიზონის მხარესაც (იოანე საბანისძის თხზულების თანახმად – ქალდიას), მაგრამ ბიზანტიასთან სავარაუდო შეტაკების დროს (ხაზარებთან ერთად), გამორიცხული არ არის, რომ ეს მხარე „აფხაზთა სამეფოს“ თავიდანვე დაეკარგა და ტრაპიზონი უკვე აღარ შესულიყო ახალი ქართული სახელმწიფოს საზღვრებში.

„აფხაზთა სამეფოს“ პოლიტიკური საზღვრები ხშირად იცვლებოდა. მაგრამ ეს ბუნებრივიც იყო, რადგანაც „აფხაზთა მეფეები“ ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის დროს, ისწრაფვოდნენ ახალი ტერიტორიების დაუფლებისათვის. სამეფოს საზღვრის ცვლილებაც დამოკიდებული იყო, სწორედ, მათი საგარეო პოლიტიკის წარმატებებსა თუ მარცხზე.

„აფხაზთა მეფე“ გიორგი I-ის დროს, „აფხაზეთის“ მიერ შიდა ქართლის მიერთება მოხდა. „აფხაზთა სამეფოსადმი“ ოსთა ქვეშევრდომობაზე უნდა მიუთითებდეს „მატიანე ქართლისა“-ში დაცული ერთი ცნობა: **„მოვიდეს გურგენ და ადარნასე, ძე დავითისი; უშუელეს სომეხთა, შეიბნეს მტკუარსა ზედა; იძლივნეს აფხაზნი, მოკლეს ნასრა და ბაყათარ, მთავარი ოვსი, და ერისთავი აფხაზთა“**. აქ ოსთა ქვეშევრდომობაზე უნდა მიუთითებდეს ოვსი მთავრის მოხსენიება „აფხაზთა მეფის“ ქვეშევრდომი აფხაზთა ერისთავის გვერდით.

შიდა ქართლისათვის ბრძოლა მწვავედ მიმდინარეობდა კონსტანტინე III-ის დროსაც. მან დაიკავა ქართლი. მალე, იგივე კონსტანტინე, კახეთის ქორეპისკოპოს კვირიკესთან ერთად, იწყებს ბრძოლას ჰერეთის წინააღმდეგ. კონსტანტინე III-ის დროს „აფხაზთა სამეფომ“ ფეხი მოიკიდა არა მარტო შიდა ქართლში, არამედ ჰერეთშიაც.

ძალზე მნიშვნელოვანია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „აფხაზთა მეფე“ გიორგი II-ის მოღვაწეობა. მის დროს, ქართლის საერისთავოს მისი ძე, კონსტანტინე ფლობს. „მატიანე ქართლისას“ მიხედვით, „გიორგი აფხაზთა მეფემან მისცა ქართლი ძესა თჳსსა უხუცესსა კოსტანტის“. საინტერესოა, რომ მეფის „უხუცესი“ ანუ უფროსი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე, ხდება ქართლის მფლობელი-ერისთავი. როგორც ჩანს, ამ რეგიონის (შიდა ქართლის) ფლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამეფო კარზე. შემდეგ, როდესაც გიორგი II „აფხაზთა მეფეს“ აუჯანყდა მისი ძე კონსტანტინე, მამამ ის სიკვდილით დასაჯა, ხოლო ტახტის ახალი მემკვიდრე, ლეონ გიორგის-ძეც პირველად ქართლის ერისთავად დაადგინა. „აფხაზეთში“ გიორგი II-ის მეფობის დროს მოხდა „აფხაზეთის“ ჯარის მიერ კახეთის ციხეების დაკავება, გარდა **„სამთა ციხეთა: ნახჭევანისა, ბოჭორმისა და ლოწობანთა“**. კახეთის ქორეპისკოპოს კვირიკე II-საგან, განმდგარი ძმისგან გიორგი II-მ უჯარმის ციხე მიიღო, ხოლო მალე კვირიკემ თავად გადასცა კახეთი.

კახეთის პრობლემა კვლავ დადგა გიორგის ძის, ლეონ III-ის დროს. მან **„გაილაშქრა სპითა დიდითა, ჩადგა არაგჳს პირსა, ასწყჳდა მუხნარი, ხერკი და**

ბაზალეთი“. მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ, კახელებმა შეძლეს რიგი ტერიტორიების დაბრუნება.

„აფხაზთა მეფეები“ თავის გავლენას სამხრეთის მიმართულებითაც ავრცელებდნენ. ლეონ III-ის ხელისუფლება X საუკუნის შუა წლებში ჯავახეთზეც ვრცელდებოდა, აქ მას თავისი მოხელე – ერისთავი ზვიადი ჰყოლია, როგორც ვარაუდობენ გვარად **მარუშიანი**.

„აფხაზთა მეფეები“ ასე იკავებდნენ და დროდადრო კარგავდნენ ახალ-ახალ ტერიტორიებს. მათი სამფლობელოს საზღვრები საუკუნეების მანძილზე ასე იცვლებოდა.

დავუბრუნდეთ ლეონ II-ის მიერ შექმნილი სამეფოს თავდაპირველ საზღვრებს და შევეხოთ მის მიერ ქვეყანაში გატარებულ ადმინისტრაციულ რეფორმას. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ლეონს სამეფო დაუყვია 8 საერისთავოდ:

„ხოლო დაჯდა რა ესე ლეონ მეფედ და დაიპყრა ყოველი ეგრისი, არღარა უწოდა ეგრისი, არამედ აფხაზეთი და განყო ესე ეგრისი და აწ აფხაზეთი რვა საერისთოდ:

ა. დასუა აფხაზთა და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი, ვიდრე ზღუამდე და ხაზართა მდინარემდე; ბ. დასუა ცხომს და მისცა ეგრის-იქითი ანაკოფია ალანითურთ; გ. დასუა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლეთი ცხენის წყლამდე; დ. ვინაჲთგან ამასვე ლეონს მოერთნენ ოძრახოს წილნი, ჭოროხის სამჭრეთისანი და განუდგნენ ოძრახოს ერისთავსა, უწოდა გურია და დასუა მუნ ერისთავი თვისი; ე. დასუა რაჭა-ლეჩხუმისა; ვ. დასუა სუანეთისა; ზ. შორაპნისავე, რიონისა და ხანის-წყლის აღმოსავლეთისა ლიხამდე სრულიად არგუეთისა; ჱ. დასუა ქუთათისს ვაკისა, ოკრიბისა და ხანის-წყლის დასავლეთისა გურიამდე და რიონის დასავლით ცხენისწყლამდე“. როდესაც ვახუშტი ბატონიშვილი ამას წერდა, ბუნებრივია, ის ეყრდნობოდა ძველ წყაროებს ან „რეალურ ისტორიულ ტრადიციას“.

ვახუშტის ცნობას, ქვეყანაში საერისთავოების არსებობის შესახებ, სხვა წყაროებიც ადასტურებენ. „აფხაზთა სამეფოს“ არსებობის პერიოდის ეპიგრაფიკულ ძეგლებში (ეკლესიის წარწერებში) მოხსენიებულნი არიან ერისთავები, თვით „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში არიან მოხსენიებულნი: აფხაზთა, სვანთა, თაკვერის (ლეჩხუმის) და რაჭის, ცხუმის და ოდიშის (ბედიის) ერისთავები.

აფხაზეთის საერისთავოს ცენტრი ბიჭვინთა უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება ცხუმის საერისთავოს, ვახუშტის ცნობით, ის მოიცავდა ალანთა ქვეყანასაც, ე. ი. კოდორის ზემო წელს და მისიმიანეთსაც, რაც ადასტურებს, რომ მისიმიანელები, რომლებიც სვანურ ტომს წარმოადგენდნენ და ეგრისის სამეფოს ცალკე „საერისთავოს“ ქმნიდნენ, VIII ს. ბოლოსათვის, თითქმის ასიმილირებული იყვნენ აფშილების მიერ და ადმინისტრაციულადაც მათ შეერწყნენ.

ვახუშტი აღნიშნავს რაჭა-ლეჩხუმის საერისთავოს არსებობას. რაჭის უძველესი სახელწოდება უნდა ყოფილიყო „თაკვერი“, ლეჩხუმის კი – „ჩხუმი“, რამაც ბიზანტიურ წყაროებში ასახვა ჰპოვა „სკვიმნიის“ სახით; „ლეჩხუმი“ სვანური სახელია („ლე“ <–> სვანური თავსართია) და ქართულად ის შეესატყვისევა ამ სახელის ფორმას „სა-ჩხუმ-ოს“; მოგვიანებით მდგომარეობა იცვლება და, ფაქტობრივად, „თაკვერით“ რაჭის გარდა ლეჩხუმიც მოიხსენიება. სახელწოდება „რაჭის“ გაჩენის შემდეგ კი, თაკვერი მხოლოდ ლეჩხუმის აღმნიშვნელად იქცა. მაგრამ ჩანს, ასე დიდხანს არ ყოფილა, რადგანაც გვიანფეოდალურ ხანაში ამ პროვინციას კვლავაც ლეჩხუმი შერქმევია: **„თაკუერი, რომელსა აწ ჰქჳან ლეჩხუმი“.**

ვახუშტი ბაგრატიონთან, აღნიშნული ადმინისტრაციული ერთეული, „რაჭა-ლეჩხუმის“ სახელწოდებითაა მოხსენიებული. „ქართლის ცხოვრების“ კრებულის მიხედვით, ამ პროვინციას „რაჭა-თაკვერი“ უნდა რქმეოდა, მაგრამ ორივე სახელწოდება („რაჭა-ლეჩხუმი“ და „რაჭა-თაკვერი“) გვიანდელ წყაროებშია მოხსენიებული და ამიტომ, სავარაუდოა, რომ ეს სახელები მათ მოხსენიებული აქვთ ისე, როგორც ამ პროვინციებს იმხანად ეძახდნენ. რაც შეეხება ლეონ II-ის ეპოქას, მაშინ, ალბათ, ამ საერისთავოს მხოლოდ „თაკვერი“ ერქმეოდა. ჩვენც ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ მისი ცენტრი იქნებოდა **მინდას ციხე,** რომელზეც ვახუშტი წერს: „ციხე მინდა, მაგარი და აუღებელი მტრისაგან, და ვის უპყრავს ციხე ესე, არს ერისთავი რაჭისა“.

ეგრისის საერისთავოს ცენტრი **ბედია** ყოფილა. ის მოიცავდა ტერიტორიას, სავარაუდოდ, ეგრისწყლიდან (ღალიძგა) ცხენისწყლამდე და სვანეთამდე. გურულებით უნდა ყოფილიყო დასახლებული გურიის საერისთავო, რომლის ცენტრიც, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აზრი გამოთქმული, შესაძლოა, **გურიანთაში** ყოფილიყო.

ზემო და ქვემო სვანეთი გაერთიანებული უნდა ყოფილიყო, რომლის ცენტრიც, სავარაუდოდ, **უშგული** იყო: უშგულის ე. წ. „თამარის ციხე“ სვანთა ერისთავის რეზიდენცია უნდა იყოს. როგორც ცნობილია, უშგულში ინახებოდა სვანეთის ერისთავების სკიპტრა, ცული და „საკურცხილი“ ანუ სავარძელი; ეს ფაქტი უტყუარ მტკიცებულებად შეიძლება გამოდგეს იმ მოსაზრების დასამტკიცებლად, რომ ეს იყო საერისთავოს ცენტრი, ერისთავთა რეზიდენცია.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „აფხაზთა სამეფოს“ ერთ-ერთ საერისთავოს წარმოადგენდა ქუთაისის საერისთავო. ის, ვახუშტის თანახმად, მოიცავდა ვაკე იმერეთს, ოკრიბას და ხანის წყლის დასავლეთ მხარეს გურიამდე და რიონის დასავლეთ მხარეს ცხენისწყლამდე. მისი ცენტრი იყო **ქ. ქუთაისი,** მაგრამ **ქუთაისი, არა მარტო ქუთაისის საერისთავოს ცენტრი, არამედ „აფხაზთა სამეფოს“ დედაქალაქიც იყო.**

ქუთაისი დიდი ისტორიის მქონე ქალაქია. ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ ლეონმა „აღაშენა ქუთათისი ქალაქი და ციხე და ჰყო საყდარი აფხაზთა მეფისა“. აქ ძალზე მნიშვნელოვანია ვახუშტის ცნობა, რომ ლეონმა „აღაშენა“ ქუთაისი. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც

ქუთაისის დაარსება ლეონ II-ის მიერ. აქ საუბარია სწორედ ქალაქის აღმშენებლობაზე, როგორც ჯუანშერის გადმოცემით ვიცით, არაბებმა ისევე როგორც ეგრისის „ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი“, ქუთაისიც შემუსრეს. ამიტომ, „აფხაზთა სამეფოს“ წარმოქმნისას, ქუთაისის ამ სამეფოს სატახტო ქალაქად გადაქცევის შემდეგ, ბუნებრივია, ერთ-ერთ უპირველეს საკითხად დადგებოდა არაბთა მიერ დარბეულ-დანგრეული ქალაქის აღდგენა და შეიძლება ხელახლა აშენებაც კი, მაგრამ არა მისი დაარსება, როგორც ქალაქის.

„ქუთაისის საერისთავოს“ ტერიტორია გვიანდელ წყაროებში **„ქუთათისის სამოქალაქოდ“** ან უბრალოდ, **„სამოქალაქოდ“** იხსენიება. „ქუთათისისა სამოქალაქო“ იმ დროსაც კი, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, უნდა ყოფილიყო „აფხაზთა მეფის“ დომენი*, რეზიდენციით ქუთაისში.

„აფხაზთა სამეფოს“ საერისთავოების შესახებ ცნობები, როგორც ვთქვით, „მატიანე ქართლისაშიცაა“ დაცული. მაგალითად, როდესაც მემატიანე მოგვითხრობს გიორგი „აფხაზთა მეფის“ მოღვაწეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ მან „დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად **ჩიხას** ძე დემეტრესი“. **ჩიხა** იყო საერისთავო იმერეთში. აქ ღვთისმშობლის (წმ. ბარბარეს) ეკლესიას დასავლეთის კარის თავზე აქვს X საუკუნის 5 სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

„წ. ჯვარი ქრისტესი. წმიდაი ბარბარე. წ. მრავალმოწყალეო ღმერთო, შეუნდვენ ცოდვანი შერაზატს და განუსუენე სულსა მამისა მისისა ივანესა.“

არ არის გამორიცხული, რომ აქ მოხსენიებული ივანე და შერაზატი X საუკუნის ჩიხის ერისთავები ყოფილიყვნენ; ყოველ შემთხვევაში, ჩიხას საერისთავოს არსებობა ეჭვს არ იწვევს.

შეიძლება ითქვას, რომ გიორგი I-ის დროს „აფხაზთა სამეფომ“, მართლაც მოიპოვა გავლენა შიდა ქართლზე და ის შეუერთა უკვე არსებულ ერთ-ერთ საერისთავოს, არგვეთს (ჩიხა). როგორც წყაროებიდანვე ჩანს, „აფხაზთა სამეფომ“ შიდა ქართლზე გავლენა დაკარგა და მოგვიანებით, როდესაც კვლავ შემოიერთა აღნიშნული მხარე, აქ ცალკე საერისთავოც იქმნება. გიორგი I-ის დროს შიდა ქართლის გარკვეული ნაწილი იქნა დაკავებული, ხოლო როდესაც ეს მხარე მთლიანად მოექცა „აფხაზთა სამეფოს“ საზღვრებში, ამის შემდეგ იქმნება აქ ცალკე საერისთავო.

აქვე აღვნიშნავთ, რომ X საუკუნეში, „აფხაზთა მეფე“ ლეონ III-ის დროს, „აფხაზთა სამეფოს“ გავლენის სფეროა ჯავახეთიც; კერძოდ, **კუმურდოს** ტაძრის ერთ-ერთ წარწერაში ვკითხულობთ:

„შეწევნითა ღმრთისაითა იოვანე ებისკოპოსმან დადვა საძირკველი ამის ეკლესიისაი ხელითა ჩემ ცოდვილისა საკოცარისაითა, ლეონ მეფისა ზე – ადიდენ ღმერთმან ქრონიკონსა რპდ, თუესა მაისსა, დღესა შაფათსა, მთუარისასა, ერისთავობასა ზვიასსა! ესე ბალაჰვარი მა დიდვა! ქრისტე, შეეწიე მონასა შენსა, ამენ.“

ეს არის საამშენებლო წარწერა და დათარიღებულია 964 წლით. გარდა ამ წარწერისა, კუმურდოს ტაძრის აღმოსავლეთ აფსიდის ჩრდილო-აღმოსავლეთ

გუმბათქვეშა სვეტის ტრომპის ფილაზე გვხვდება გურანდუხტის რელიეფური გამოსახულება ასომთავრული წარწერით: **„გუარანდუხტ“.**

აქვეა ლეონ III-ის რელიეფური გამოსახულებაც. როგორც წყაროებიდანაა ცნობილი, გურანდუხტი და ლეონ III იყვნენ და-ძმანი, შვილები გიორგი II „აფხაზთა მეფის“. კუმურდოს ტაძარზე მათი რელიეფები ამ რეგიონში „აფხაზთა მეფეების“ გავლენის გამომხატველია. ამ გამოსახულებების დაფიქსირებით „აფხაზთა მეფე ჯავახეთში თავისი უფლებების ლეგიტიმურობის დემონსტრირებასაც ახდენს“.

ძალზე მნიშვნელოვანია ზარზმის ფერისცვალების ხატი და მისი წარწერა:

„სახელითა ღმრთისაითა შეიმოსა ხატი ესე მწედ ამისა გიორგისა, უფალთა: ფარსმან ერისთავისა, ივანესა, პეტრიკისა მირიანისა, ფერისა სულასა, ერისა მათისა ქრისტეს მიერ მამასახლისობასა პავლესა, ქორონიკონი იყო რვ (106+780=886) სახელითა ღმრთისაითა მე ზვადი ერისთავს, ძე სულკურთხეული ერისთავისა არაბაისი, ღირს ვიქმენ შემკობად პატიოსნისა ამის ხატისა და შეივედრე სული და ხორცნი ჩემნი ხატო ფერისცვალებისაო, შეეწიე სულსა ჩემსა დღესა განკითხვისასა.“

წარწერას აქვს თარიღი (886 წ.). აქ იხსენიებიან **არაბაᲘ** და **ზვიად** ერისთავები. ანუ, ზარზმაში იქმნება ხატი, რომლის წარწერაზეც ამ ერისთავთა სახელები იკითხება. ისინი არიან „აფხაზთა“ მეფის ერისთავები სამცხე ჯავახეთში, რაც ამ რეგიონზე „აფხაზთა სამეფოს“ გავლენაზე მეტყველებს.

ჩვაბიანის (სვანეთში) მაცხოვრის სახელობის ეკლესიის წარწერის მიხედვით ვიგებთ, რომ იყვნენ ერისთავები – იოვანე და ვახდანგი:

„ქ. წმიდაო მაცხოვარეო! შეიწყალე ვახდანგ ერისთავი; მაშინ დავწერეთ, ოდეს იოვანე ერისთავი, სულკურთხეული გარდაიცვალა.“

ვახდანგ ერისთავი მოიხსენიება ამავე ეკლესიის მეორე წარწერაშიც:

„ქ. წმიდაო მაცხოვარო, შეიწყალე ვახდანგ ერისთავი.“

ჩვაბიანი არის სოფელი მესტიის რაიონში. როგორც ჩანს, აქ მოხსენიებული პირები სვანეთის ერისთავები არიან; ამას ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაც, რომ „აფხაზთა სამეფოში“ ცალკე არსებობდა სვანეთის საერისთავოც. აღნიშნული წარწერები ეკუთვნის X საუკუნის II ნახევარს.

ეპიგრაფიკული მასალიდან ჩანს, რომ „აფხაზთა სამეფოში“ **ერისთავთ-ერისთავის** ინსტიტუტიც ყოფილა. **ბიეთის** სამების ეკლესიის წარწერა გვამცნობს:

„ქრისტე, მეუფეო ყოველთაო, ადიდე ერისთავთ-ერისთავიიოვანე, ძე ბაკურ ყანჩაელისაი, უფალი და პატრონი ამის წმიდისა ეკლესიისა, დაიცევ წმიდაი მრემლი სამებისაი ყოველი.“

ბიეთი სოფელია ცხინვალის რაიონში, შიდა ქართლში. წარწერა X საუკუნით თარიღდება. თუ ამ დათარიღებას გავითვალისწინებთ, გამოდის, ივანე ყანჩელი, ბაკურ ყანჩელის ძე იყო შიდა ქართლის ერისთავთ-ერისთავი მაშინ, როდესაც ეს საერისთავო იყო „აფხაზთა სამეფოს“ საზღვრებში.

გორის რაიონის სოფ. ატენის სიონის 982/989 წლებით დათარიღებული წარწერა გვამცნობს კლდეკარის ერისთავ რატის შესახებ:

„ქრისტე, ადიდე ორსავე ცხორებასა, აქა ხორციელებრ და წინაშე შენსა სულიებრ, რატ ერისთავი, ძეი იგი ლიპარიტ ერისთავისაი, რომელმან აღაშენა ესე სახლი ღმრთისაი და ბჭეი ცათაი, წმიდაი ეკლესიაი, სალოცველად სულისა მათისა“.

გარდა საერისთავოებისა, ეპიგრაფიკულ ძეგლში დასტურდება ინფორმაცია „აფხაზთა სამეფოს“ სხვა ადმინისტრაციული ერთეულის არსებობის შესახებ. კერძოდ, **ჭალისუბნის** წარწერა გვამცნობს:

„სახელითა ღმრთიასაითა ესე ჩუენ, ბერმან და გიორგი დავწერეთ ოდეს კონსტანტი ქართლის გამგებელი იყო, ჩუენ ცხრაზმისხევის ხევისუფლად ვიყვენით“.

მაშასადამე, „აფხაზთა სამეფოში“ დასტურდება მცირე ადმინისტრაციული ერთეულის – **ხევის** არსებობა და ჩვენთვის ცნობილი ხდება ამ მცირე ადმინისტრაციული ერთეულის მმართველის ტიტულიც, ეს ყოფილა – **ხევისუფალი.**

„აფხაზთა მეფეები“

(ქრონოლოგიური რიგი)

„აფხაზთა მეფეები“ მოხსენიებულნი არიან ძველ ქართულენოვან წყაროებში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია მათ შესახებ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში, ძირითადად, „მატიანე ქართლისაში“ დაცული ცნობები.

1839 წელს მარი ბროსემ გამოსცა იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის მიერ შეგროვებული ცნობები საქართველოს შესახებ.

დოსითეოს პატრიარქი საქართველოში ორჯერ ყოფილა ჩამოსული, ერთხელ 1658-1659, ხოლო მეორედ – 1681-1683 წლებში. მის **„იერუსალიმის პატრიარქთა ისტორიაში“** საქართველოს შესახებ დაცულ ცნობათაგან უმნიშვნელოვანესია „აფხაზთა მეფეების“ შთამომავლობითი სია. დოსითეოსის ცნობით, მას ეს სია ამოუწერია ბაგრატ III-ის (ერთიანი საქართველოს მეფე 975-1014 წწ.) მიერ შედგენილი **„აფხაზეთის ისტორიიდან“**. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი დოკუმენტი, ე. წ. **„მეფეთა დივანი“**, რომელშიც არის ასევე „აფხაზთა მეფეების“ ჩამონათვალი. ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავდა, რომ, სწორედ, ეს უნდა იყოს ბაგრატ III-ის ე. წ. „აფხაზეთის ისტორია“, რომლითაც უსარგებლია იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსს.

ამ უმნიშვნელოვანესი წყაროს ტექსტი სამ ნაწილად იყოფა. შესავალი ეკუთვნის ბაგრატ „აფხაზთა მეფის“ ძეს, კონსტანტინეს. ხელნაწერი დაცული ყოფილა „ქუთათის საჭურჭლეში“ ანუ ხაზინაში მოთავსებულ „ქუთათის (მ)დივანში“, რომელიც სიძველის გამო, გადაუწერია კონსტანტინეს (ეს არის

კონსტანტინე II, ძე ბაგრატ V დიდის, რომელიც გარდაიცვალა 1414 წ.); მეორე ნაწილია საკუთრივ მეფეთა ნუსხა, რომელიც ბაგრატ ბაგრატიონის, გურგენის ძის და გიორგი „აფხაზთა მეფის“ ასულისწულის ბრძანებითაა შესრულებული. ეს არის გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III. დოკუმენტის უკანასკნელი ნაწილი, თუ რამდენ ხანს იმეფა ბაგრატ III-მ და მისმა შვილმა გიორგი I-მა, მიმატებულია შემდგომ „ქართლის ცხოვრების“ ცნობების მიხედვით.

მაშასადამე, ე. წ. **„მეფეთა დივანში“** არის „აფხაზთა მეფეების“ ნუსხა, მაგრამ თუ ვინ რამდენი წელი იმეფა, ეს მასში აღნიშნულია მხოლოდ მე-11 მეფე ლეონისგან მოყოლებული.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამგვარ ქრონოლოგიაზე მთლიანად დაყრდნობა არ შეიძლება. „დივანისეული“ ქრონოლოგიის მიმართ ჩვენი უნდობლობა გამოწვეულია სწორედ მისი ქრონოლოგიური მონაცემების შედარებით სხვა ქართულენოვან თუ უცხოურ წყაროებთან. მართალია, „დივანი“ ჩამოთვლილ პირებს **„მეფედ“** იხსენიებს, მაგრამ ლეონამდე მოხსენიებულნი უნდა ყოფილიყვნენ აფხაზეთის **„ერისთავები“** და არა **„მეფენი“**. ისინი უნდა იყვნენ აფხაზეთის საერისთავოში ბიზანტიელების მიერ დადგენილი მმართველ-ერისთავები. ამას მოწმობს „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობა „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბებისა და ლეონის მიერ მეფის ტიტულის მიღების შესახებ (რაზეც ზემოთ დეტალურად ვისაუბრეთ). მაშასადამე, ლეონამდე ნუსხაში მოხსენიებული პირები ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებოდნენ მეფეები.

„მეფეთა დივანი“ (აფხაზეთის მეფეთა ჩამონათვალი, ნუსხა) არის „მანიფესტი“ გამოცემული ერთიანი საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ III-ის მიერ. ექვთიმე თაყაიშვილის აღნიშვნით, „ძველ დროში მისრეთში, ბაბილონში, ასურეთში და სხვა ქვეყნებში ჩვეულებათა იყო, როდესაც ახალი დინასტია თუ შთამომავლობა აღვიდოდა ტახტზედ, განცალკევებულს აქტში ანუ წარწერაში მოიყვანდა სიას მისი წინამოადგილეებისას მომავალთა საყურადღებოთ. ასე მოქცეულა ბაგრატ მესამეც. მას შეუკრებია ცნობები თავის წინამოადგილეების შესახებ აფხაზეთში და შეუნახავს მომავალთათვის“.

ბაგრატ III-ის მიერ ამ ე. წ. „მეფეთა დივანის“ ანუ „აფხაზეთის ისტორიის“ გამოცემას ჰქონდა თავისი დანიშნულება; მასში ბაგრატ III ხაზს უსვამდა მის კავშირს „აფხაზეთის დინასტიასთან“, მის მემკვიდრეობით და კანონიერ უფლებას და არ არის გამორიცხული, რომ მხოლოდ ამ მიზნით იქნა ის შედგენილი ერთიანი საქართველოს პირველი მეფის მიერ.

როგორც ქართულენოვანი წყაროებიდან ვიცით, „აფხაზთა სამეფოში“ მეფის ტიტული პირველად ლეონ II-მ მიიღო. „მეფეთა დივანში“, სწორედ აქედან მოყოლებული, არის აღნიშნული, თუ რომელმა მეფემ რამდენი წელი იმეფა, მაგრამ რაც შეეხება მეფეთა ნუსხას, აქ ერთი შეხედვითვე ნათელია, რომ ის სრული არ არის. როგორც სხვა წყაროებიდან არის ცნობილი, გიორგი I-ის შემდეგ „აფხაზთა სამეფო“ ტახტს ეუფლებიან **შავლიანთა** დინასტიის წარმომადგენლები – **იოანე I** და შემდეგ მისი ძე, **ადარნასე I.** მათი სახელები

არ არის „მეფეთა დივანში“ მოხსენიებული; ამას თავისი ახსნა მოეძებნება. როგორც აღვნიშნეთ, „დივანის“ გამოცემას თავისი მიზანი ჰქონდა. მასში ერთიანი საქართველოს პირველმა მეფემ, ბაგრატ III-მ ხაზი გაუსვა მის კავშირს „აფხაზეთის დინასტიასთან“, მისი მემკვიდრეობით და რაც მთავარია, კანონიერ უფლებას. მეფეთა ჩამონათვალიც, სწორედ იმ მიზნითაა მოყვანილი, რომ მას ეჩვენებინა საკუთარი მემკვიდრეობითი ხაზი, რომ ის იყო კანონიერი მემკვიდრე „აფხაზთა სამეფოს“ ტახტისა და კანონიერი შთამომავალი „აფხაზთა მეფეების“; ამ საკითხთან დაკავშირებით, სავსებით სამართლიანად აღნიშნავს აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე: „ან „მეფეთა დივანის“ იმ ვარიანტში, რომელიც ქუთაისის სამეფო კარზე ინახებოდა, არ იყვნენ მოხსენიებული ტახტის მიმტაცებლები, ან მეფე ბაგრატმა არ ისურვა თავის ოფიციალურ დოკუმენტში დაესახელებინა ტახტის უკანონოდ მიმტაცებლები. ვფიქრობთ, ეს მეორე ვარაუდი უფრო მისაღები უნდა იყოს“. **ეს დოკუმენტი ბაგრატ III-ის წინაპარი „აფხაზთა მეფეების“ კანონიერი რიგის ჩვენებას ისახავდა მიზნად და არა „აფხაზთა მეფეების“ სიის გადმოცემას ზუსტი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით,** ამიტომ, ბუნებრივია, ამ ნუსხაში ვერ მოხვდებოდნენ ის პირები, რომლებიც „აფხაზთა სამეფო“ ტახტს დაეუფლნენ უკანონოდ და რომლებთანაც მემკვიდრეობით დაკავშირებული არ ყოფილა ბაგრატ III. ბაგრატ III-მ აქ გამოხატა თავისი პოზიცია შავლიანთა მიმართ და ხაზი გაუსვა, რომ მათ კანონით არ ეკუთვნოდა „აფხაზთა სამეფოს“ ტახტი. ჩვენი მიზანი კი, „აფხაზთა მეფეების“ ზუსტი ქრონოლოგიური თანამიმდევრობითი რიგის დადგენაა. წყაროების მონაცემების შეჯერების შემდეგ „აფხაზთა მეფეების“ ქრონოლოგიური რიგი შეიძლება ასე გასწორდეს:

ლეონ II --- 753 – 778/781 (782) წწ. აფხაზეთის ერისთავი
--- 778/781-786 წწ. აფხაზეთის მთავარი
--- 786-798 წწ. „აფხაზთა მეფე“
თეოდოსი II --- 798-825 წწ. „აფხაზთა მეფე“
დემეტრე II --- 825-861 წწ. „აფხაზთა მეფე“
გიორგი I --- 861-868 წწ. „აფხაზთა მეფე“
იოანე I და ადარნასე I (შავლიანთა დინასტია)--- 868-885/886 წწ. „აფხაზთა მეფეები“
ბაგრატ I 885/886-893 წწ. „აფხაზთა მეფე“
კონსტანტინე III --- 893-922 წწ. „აფხაზთა მეფე“
კონსტანტინე III-ის და ბაგრატის თანამეფობა --- 918 წლის ახლო პერიოდიდან – 922 წლამდე
გიორგი II-ის და ბაგრატის თანამეფობა --- 922 წ.-დან ბაგრატის გარდ.-მდე
გიორგი II --- 922-957 წწ. „აფხაზთა მეფე“
ლეონ III --- 957-967 წწ. „აფხაზთა მეფე“
დემეტრე III --- 967-975 წწ. „აფხაზთა მეფე“

რაც შეეხება „აფხაზთა მეფეების“ ნათესაურ კავშირებს, ამ მხრივ, არაერთი საინტერესო ცნობაა დაცული როგორც ქართულენოვან, ასევე უცხოურ წყაროებშიც: მაგალითად, „აფხაზთა“ პირველი მეფის, ლეონ II-ის ძე თეოდოსი II ყოფილა სიძე აშოტ ადარნასეს-ძე კურაპალატის; ამის შესახებ მოგვითხრობს „მატიანე ქართლისა“: **„მას ჟამსა გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმან, და უშუელა თევდოსი აფხაზთა მეფემან, ძემან მეორისა ლეონისმან, რომელი-იგი სიძე იყო აშოტ კურაპალატისა“.**

იოანე შავლიანმა მოჰგუარა **„ძესა თჳსსა ადარნასეს ცოლი, ასული გუარამ აშოტის ძისა“;** მაგრამ ადარნასეს მეფობის დროს, დაბრუნდა ტაბტის კანონიერი მემკვიდრე ბაგრატ დემეტრეს-ძე; მან მოკლა ადარნასე შავლიანი და ადარნასეს მეუღლე ცოლად შეირთო.

იოანე დრასხანაკერტელის (სომხური წყარო) ცნობით, კონსტანტინე III „აფხაზთა მეფე“ იყო სიძე ადარნასე „ქართველთა მეფის“. „აფხაზთა მეფე“ გიორგი II-ის და ყოფილა აშოტ ბაგრატის-ძის მეუღლე.

„აფხაზთა მეფე“ ლეონ III-მ საკუთარი ასული კახეთის ქორეპისკოპოს კვირიკეს ძეს მიათხოვა. ეს იყო დიპლომატიური აქტი, რომელიც ბრძოლის დროს იქნა გადაწყვეტილი. ძალიან საინტერესოდ მოგვითხრობს მემატიანე ამ ამბის შესახებ: როდესაც ლეონ III-ის მამამ, გიორგი II „აფხაზთა მეფემ“ დაიკავა კახეთის მნიშვნელოვანი ციხეები, გარკვეული დროის შემდეგ, კვლავ დაკარგა ისინი და მეორედ გადაწყდა კახეთს ლაშქრობა. ამჯერად, „აფხაზთა“ ლაშქარს ლეონ გიორგის-ძე მეთაურობდა. ის ამ დროს ქართლის ერისთავია. ლეონმა საკმაოდ შეავიწროვა კახელები, მან **„მოწუა კახეთი“,** მაგრამ შემდგომ წარმატებაში მას ხელი შეუშალა მამის, გიორგი II „აფხაზთა მეფის“ გარდაცვალებამ; ამის თაობაზე, ინფორმაცია მას სწორედ ამ ლაშქრობის დროს მიუღია; მემატიანეს სიტყვით, „მოუწოდა ლეონ კჳრიკე ქორეპისკოპოსსა; და შეკრბეს ბაზალეთს, ტბისა პირსა, თჳთო ცხენოსნითა, და იუბნეს დღე ერთი, ვიდრემდის განუცხადა მიცვალება მამისა თჳსისა. და აჰკიდა სიყუარული, და უქადა ძისა მისისა სიძობა. და ვითარცა ესმა ესე კჳრიკეს, გარდაჴდა ცხენისაგან, და თაყუანისცემით მისცა მადლი, და განიხარა ზავი და სიყუარული, და უფროს პირი მზახობისა“. როგორც წყაროს ამ ციტირებული მონაკვეთიდან ჩანს, ლეონმა დიპლომატიურ ხერხს მიმართა და ის წარმატება, რომელსაც მან კახეთის დაკავების საქმეში მიაღწია, ამ მხარეზე გავლენის შესანარჩუნებლად დინასტიური ქორწინებით გაამყარა; ყურადღებას იქცევს ფრაზა: **„იუბნეს დღე ერთი, ვიდრემდის განუცხადა მიცვალება მამისა თჳსისა. და აჰკიდა სიყუარული, და უქადა ძისა მისისა სიძობა.“** როგორც ჩანს, ლეონმა, გაიგო თუ არა მამის გარდაცვალების ამბავი, დამალა ეს ინფორმაცია და კვირიკე ქორეპისკოპოსს არ განუცხადა მანამ, სანამ არ მოაგვარა ქორწინების ამბავი. კვირიკეს თავიდანვე რომ გაეგო გიორგი II „აფხაზთა მეფის“ გარდაცვალება, შესაძლებელია არც დათანხმებულიყო და ლეონი

იძულებული იქნებოდა ნებითვე დაეტოვებინა კახეთის დაკავებული ტერიტორიები; საკუთარი ასულის კვირიკე ქორეპისკოპოსის ძისათვის მითხოვებით ლეონმა გაამყარა „აფხაზთა სამეფოსა“ და კახეთს შორის კავშირი და ასე შეინარჩუნა გავლენა ამ რეგიონზე. ეს ქორწინება „აფხაზთა სამეფოსა“ და კახეთს შორის სტაბილურობის გარანტი რომ იყო, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ლეონის ასულის გარდაცვალების შემდეგ, ურთიერთობა კახეთსა და „აფხაზთა სამეფოს“ შორის კვლავ დაიძაბა.

განვიხილეთ რა „აფხაზთა მეფეების“ ქრონოლოგიური რიგის საკითხი, გვინდა მოკლედ შევეხოთ მათი ეთნიკური კუთვნილების საკითხს. დღეისათვის ძირითადად, სამი მოსაზრება არის გამოთქმული: პირველი, რომ ისინი იყვნენ ბერძნები. ასევე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ „აფხაზთა მეფეები“ იყვნენ ეთნიკურად აფხაზები (ტერმინ „აფხაზის“ თანამედროვე გაგებით); და ბოლოს, მკვლევართა ნაწილი მათ ქართველებად მიიჩნევს. ფაქტი ერთია, **„აფხაზთა მეფეები“ თავისი მოღვაწეობით ქართული კულტურის და ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის იბრძოდნენ და ამ ნიშნით ისინი ნამდვილად ქართველები არიან;** პროფესორ ალექსანდრე აბდალაძის აღნიშვნით, „ყურადღებას იპყრობს XIII ს-ის სომეხი მემატიანის, ვარდანის ცნობა იმის თაობაზე, რომ IX-X სს-ის „აფხაზთა მეფეები“ ვახტანგ გორგასალის ნაშიერნი ყოფილან. IX ს-ის დასასრულიდან მოყოლებული, ვიდრე X ს-ის 70-იან წლებამდე „აფხაზთა მეფეები“ მთელი საქართველოს, აგრეთვე მთელი კავკასიის პოლიტიკურ გაერთიანებაზეც აცხადებდნენ პრეტენზიას. ძველი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი ხელისუფალი, სახელმწიფო მოღვაწე, ვახტანგ გორგასალიც, თავის დროზე, მსგავს მიზნებს ისახავდა და ეტყობა, ამის გამო, იგი IX-X სს-ის „აფხაზთა მეფეებმა“ თავიანთ წინაპრად“ გამოაცხადეს.

„აფხაზთა მეფეების“ რელიგიურ-კულტურული პოლიტიკა

„აფხაზთა სამეფოს“ საგარეო თუ საშინაო პოლიტიკიდან ცალკე უნდა გამოვყოთ „აფხაზთა მეფეებისა“ და საერთოდ, **„აფხაზთა სამეფოს“ რელიგიურ-კულტურული პოლიტიკა.**

ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის სრულ დამოუკიდებლობამდე, როგორც ირკვევა, ათწლეულები გასულა. თუმცა, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ამ მოვლენასაც ლეონ II-ის დროს ჰქონია ადგილი. კერძოდ, ის აღნიშნავს: **„ამისგანვე** (ლეონ II-საგან, შ. გ.) **საგონებელ არს განთავისუფლება აფხაზთა კათალიკოზისა, ნებითავე ბერძენთათა“**. დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან ჩამოცილება მოხდა IX საუკუნეში. ყველაფერთან ერთად, მნიშვნელოვანია ის დაახლოება, რომელიც შეიმჩნევა დასავლურ-ქართულ და აღმოსავლურ-ქართულ ეკლესიებს შორის. ეს პროცესი დასრულდა მათი

გაერთიანებით, რომლის სათავეშიც იდგა **მცხეთის** ანუ **ქართლის კათოლიკოსი.** ამ საკითხთან დაკავშირებით, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „როდის მოხდა ეს შეერთება, ამის შესახებ ჯერჯერობით პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ მაინცა და მაინც, მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ეტყობა, აფხაზეთის ეკლესია შემოერთებული უნდა ყოფილიყო. ეს იქიდან ჩანს, რომ გიორგი მთაწმიდელი ანტიოქიის პატრიარქის წინაშე ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის, ანუ **„თვითმწყსობის“** უფლებას სხვათა შორის შემდეგ საბუთითაც ამტკიცებდა: „ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი – სიმონს ვიტყვი კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“-ო. ამ დროს რომ აფხაზეთის ეკლესია საქართველოს საერთო ეკლესიას არ ჰკუთვნებოდა, გიორგი მთაწმიდელი ასეთს საბუთს ვერ მოიყვანდა იმიტომ, რომ მას უპასუხებდნენ, თქვენ ამით არავითარი უფლება არ მოგენიჭებათ, რათგან აფხაზეთი საბერძნეთის ეკლესიას, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს, ეკუთვნის და არა მცხეთის საკათალიკოზო საყდარსაო“.

ეგრის-აფხაზეთის ბიზანტიის იმპერიისაგან პოლიტიკური და ეკლესიური დამოუკიდებლობის საკითხები ძალზე გადაჯაჭვულია ერთი-მეორეზე. მცხეთის კათოლიკოსი, ბუნებრივია, მომხრე იქნებოდა „აფხაზთა მეფეების“ პოლიტიკისა, ამას კი, თავის მხრივ, გამოიყენებდნენ „აფხაზთა მეფეებიც“, რომლებიც „იმიერ-ამერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უყრიდნენ საფუძველს“. ამ მხრივ, ძლიერი ძალა იყო მცხეთის საკათოლიკოსო, რომელსაც რელიგიურად მთელი აღმოსავლეთ საქართველო ექვემდებარებოდა.

ჯერ კიდევ დასვლეთ საქართველოს ეკლესიური დამოუკიდებლობის მოპოვებამდე „აფხაზთა სამეფოში“ ქართული ენა იკიდებს ფეხს. „მეცხრე საუკუნის დამდეგიდანვე აფხაზთა სამეფოში მწიგნობრობის, სამეფო კანცელარიისა და ეკლესიის ენა არის ქართული. X საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ფაქტობრივად გაბატონებულია ქართული ენა, რომელმაც განდევნა ეკლესიიდან ბერძნული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძალზე საინტერესოა საკითხი დასავლეთ საქართველოს ერთიანი, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან დამოუკიდებელი, **სრულიად ავტოკეფალური** აფხაზეთის საკათოლიკოსოს დაარსების შესახებ. მაინც როდიდან იქნა დაარსებული „აფხაზეთის საკათალიკოსო“, რამდენად უკავშირდება „აფხაზთა სამეფოს“ და „აფხაზთა მეფეების“ მოღვაწეობას ეს ფაქტი?

VIII საუკუნის I მეოთხედში, რელიგიური კუთხით, საკმაოდ დიდი მნიშვნელობის მოძრაობაა ბიზანტიის იმპერიაში; ეს არის **ხატმებრძოლეობა**. ამ დროს, დასავლეთ საქართველოს ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა, საკუთრივ აფხაზთა საერისთავო სახელმწიფოებრივადაც იმპერიის შემადგენელი ნაწილია; მაშინ ბიზანტიაში ხატმებრძოლური მოძრაობა გააქტიურდა, რამაც დიდი მხარდაჭერა ჰპოვა იმპერატორ ლეონ III ისავრიელის (717/719-740/741 წწ.) დროს. ის გამოდის

ხატების თაყვანისმცემელთა წინააღმდეგ და 730 წლის ედიქტით* ოფიციალურად კრძალავს ხატთაყვანისცემას. ნიშნავს თუ არა ეს, რომ იმპერიის პოლიტიკამ თავადვე გახლიჩა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ერთიანი ორგანიზმი? რა თქმა უნდა, ის ეკლესიები, სამწყსოები, რომლებიც არ გაიზიარებდნენ ამ გადაწყვეტილებას (არ გახდებოდნენ ხატმებრძოლები), ვერანაირად ვერ იმოღვაწევებდნენ ამ ერთიან ეკლესიურ სივრცეში. ეს იყო პრინციპული საკითხი, რასაც ან უნდა დამორჩილებოდა ქრისტიანული სამყაროს „ბიზანტიური ნაწილი", ან არსებობის დამოუკიდებელი გზა განევითარებინა. აღნიშნულ პერიოდში აფხაზეთის საერისთავო გამოყოფილია ეგრისის სამეფოდან და ის უშუალოდ ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაშია შესული (ამის თაობაზე ვისაუბრეთ, როდესაც „აფხაზთა სამეფოს" ჩამოყალიბების საკითხებს ვიხილავდით); ეკლესიურადაც, როგორც ეგრისის ეპარქიები, ასევე აფხაზეთის ეკლესიაც, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაა დაქვემდებარებული; იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ აფხაზეთის ხატთაყვანისმცემელი ეკლესია (საუბარია ჯერ კიდევ აფხაზეთის საერისთავოზე და არა „აფხაზთა სამეფოზე"), შექმნილ ვითარებაში, აუცილებლად გადადგამდა ქმედით ნაბიჯებს და ჭეშმარიტ ღვთიურ გზას დაადგებოდა. იმდროინდელი არც აფხაზეთის, არც ეგრისის ეკლესიას არ მიუღია ხატების თაყვანისცემის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილება, პირიქით, ჩვენამდე მოღწეული იმ დროს შექმნილი ხატების ანალიზი, საფუძველს იძლევა მტკიცებისათვის, რომ უფრო გააქტიურდა ხატების თაყვანისცემა, ხატების შექმნა; მაგალითად, დასავლეთ საქართველოში ხატების შესაქმნელად ტიხრული მინანქრული ხელოვნების ორიგინალური, ქართული ხელობის ჩასახვა და განვითარებაც ამ პერიოდს ემთხვევა. მაშასადამე, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო დაადგა ხატმებრძოლეობის გზას, ხოლო ეგრის-აფხაზეთის ეკლესია პირიქით – ხატთაყვანისმცემლობას; ანუ, VIII საუკუნის 20-იანი წლებიდან (ან 730 წლის ხატთაყვანისმცემლობის ამკრძალავი ედიქტის მიღების შემდეგ მაინც), აფხაზეთის ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან ერთიანობა საეჭვოდ მიგვაჩნია. უმნიშვნელოვანესია ჩვენამდე მოღწეული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულ ეკლესიათა ნუსხების, ე. წ. „ეკთეზისების", „ნოტიციების" ცნობები. მათ მიხედვით, ლაზიკის ეპარქიის მეთაური მიტროპოლიტია, აფხაზეთის (და ჯიქეთის) ეკლესიის მეთაური კი ავტოკეფალი არქიეპისკოპოსი. იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის განმარტებით, **„იბერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს"**; ამასვე ადასტურებს იერუსალიმის პატრიარქ ქრისანთოს სიტყვებიც, რომ **„საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ერქვა, იყო ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი, რომელთაც ჩვეულების თანახმად უწოდებდნენ კათალიკოსებს და არა არქიეპისკოპოსებს. ასე მათ მარტო ქართველები უწოდებენ"**. მაშასადამე, „ეკთეზისების" მიხედვით, IX საუკუნიდან აფხაზეთის ეკლესიას უკვე ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი, ანუ ქართული გაგებით კათოლიკოსი უდგას

სათავეში. როდიდან შეიძლება ვივარაუდოთ აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსოს დაარსება? ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ეს მოხდა სწორედ VIII საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში, როდესაც თავად ბიზანტიის იმპერიამ გამიჯნა ხატმებრძოლური კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ხატთაყვანისმცემლური აფხაზეთის ეკლესიისაგან. ამ მხრივ, სავსებით ვიზიარებთ აზრს, რომ **აფხაზეთის ეკლესიის მიერ ავტოკეფალობის მოპოვება იმ ლეონ აფხაზთა ერისთავს დავუკავშიროთ, რომელმაც „გაიმკვიდრა საერისთავო თუსი“.**

მართალია, ხატმებრძოლეობის დროს საეკლესიო განხეთქილება მოხდა და აფხაზეთის ეკლესიას სრული მორალურ-სარწმუნოებრივი უფლება ჰქონდა, რომ კონსტანტინოპოლისაგან დამოუკიდებლობა მოეთხოვა, მაინც საჭირო იყო შესაბამისი აღიარების მიღწევა. ამ აღიარებაში არამც და არამც არ ვგულისხმობთ აღიარების თავად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან მიღებას; შექმნილ სიტუაციაში აფხაზეთის ეკლესია კონსტანტინოპოლისაგან უკვე აღარც ნებართვას მოითხოვდა და აღარც არანაირ საკითხებზე მოლაპარაკებას აღარ გამართავდა; კონსტანტინოპოლის ხატმებრძოლი ეკლესია, როგორც ხატმებრძოლეობის გზაზე დამდგარი, აფხაზეთის ხატთაყვანისმცემელი ეკლესიისათვის უკვე აღარ იქნებოდა იერარქიულად ანგარიშგასაწევი; ჩვენ, როდესაც ვსაუბრობთ ავტოკეფალიის აღიარებაზე, ვგულისხმობთ აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის ცნობას **ჭეშმარიტ რწმენაზე მყოფი – ხატთაყვანისმცემელი საპატრიარქოსაგან**.

VIII საუკუნის შუა წლებში, ბიზანტიაში ხატმებრძოლეობის პერიოდში ე. წ. **„ანტიოქიური ქრონოგრაფის“** თანახმად, საქართველოდან ანტიოქიაში ჩადის ქართული ეკლესიის წარმომადგენლობითი დელეგაცია. ამ ფაქტს ადგილი ჰქონია ანტიოქიაში თეოფილაქტეს პატრიარქობის ჟამს (744-750 წწ.). თეოფილაქტეს მიუცია კურთხევა იოანესათვის და ის საქართველოს კათოლიკოსად დაუდგენია. სხვა წყაროებით, თეოფილაქტეს მოღვაწეობის პერიოდში, ქართლის კათოლიკოსად იოანე არაა ცნობილი. ეს ფაქტი მკვლევართა ნაწილისათვის გახდა ვარაუდის საფუძველი, რომ ანტიოქიის პატრიარქის – თეოფილაქტეს მიერ, კათოლიკოსად ხელდასხმული იოანე არა ქართლის, არამედ აფხაზეთის კათოლიკოსია. ამ მოსაზრებას, იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩვენც ვიზიარებთ. აფხაზეთის ეკლესია, სავსებით ლოგიკურია, რომ შექმნილ ვითარებაში, ავტოკეფალიის მისაღებად მიმართავდა სწორედ ანტიოქიის საპატრიარქოს. მისაღებად მიგვაჩნია ვ. გოილაძის აზრი, რომ „იმ დროისათვის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალ დასავლურ ქართულ ეკლესიას მართლაც შეიძლებოდა თავისი ეკლესიის უმაღლესი საჭეთმპყრობლის ხელდასასხმელად ძველი სიუზერენის – ანტიოქიის საპატრიარქო კათედრისათვის მიემართა“, საიდანაც გაისმოდა ხატთაყვანისმცემელთა დასაცავად ბიზანტიელი ღვთისმეტყველის, იოანე დამასკელის ხმა.

უმნიშვნელოვანესია XVII საუკუნის ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსის ცნობები. მისი გადმოცემით, ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს დროს აფხაზეთის მეფის მიერ მასთან გაიგზავნა ეპისკოპოსად ხელდასასხმელი მრავალი პიროვნება; მათ გზაში ყაჩაღები დახვდნენ, გაძარცვეს და დახოცეს ისინი; გადარჩენილა ორი ადამიანი, რომლებმაც ააღწიეს ანტიოქიაში. თეოფილაქტეს კრება მოუწვევია და გადაწყვეტილა აფხაზეთისათვის დამოუკიდებელი კათოლიკოსის დანიშვნა. აფხაზეთის ეკლესიას ანტიოქიის საპატრიარქო უწესებდა პირობას, რომ აფხაზეთის კათოლიკოსი ღვთისმსახურების დროს მოიხსენიებდა ანტიოქიის პატრიარქს. ასევე, გადაწყდა, რომ აფხაზეთში გაიგზავნებოდა ყოველ წელს ეგზარქოსი, რომელიც აკრეფდა სოფლებიდან შეწირულობას და გამოიძიებდა ეკლესიის წინამძღოლთა მოღვაწეობას. ამის შემდეგ, მაკარიოსის ცნობის თანახმად, ანტიოქიაში წილი ყარეს იქ ჩასულ ორ პიროვნებას შორის და ერთ-ერთი – იოანე კათოლიკოსად აკურთხეს, მეორე კი – ეპისკოპოსად. მაკარიოსი ხაზს უსვამს, რომ ეს იყო პირველი კათოლიკოსი. ეს ამბავი აშკარად არ ეხება ქართლის ეკლესიას, რადგანაც იოანე ქართლისათვის არანაირად არ შეიძლება ყოფილიყო პირველი კათოლიკოსი.

მონათხრობი ცხადყოფს, რომ ხატმებრძოლეობამ, რამაც ბიზანტიის იმპერიაში ოფიციალური რელიგიური მიმდინარეობის სახე მიიღო, უბიძგა აფხაზეთის ეკლესიის მესვეურთ, ეფიქრათ კონსტანტინოპოლის საპატრიარ-ქოსაგან გამოყოფაზე. ამის შედეგად (744 წლის შემდეგ (750 წლამდე) თეოფილაქტე ანტიოქიის პატრიარქის მოღვაწეობის დროს), იკურთხა იოანე აფხაზეთის კათოლიკოსად. ნიშნავს თუ არა ეს სრულ დამოუკიდებლობას? ალბათ, არა; სავარაუდოდ, აქ საუბარი დიდ ავტონომიურ უფლებებზეა; ამას უნდა ადასტურებდეს XVII საუკუნის ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსის ზემოთ მოტანილი ცნობაც. კერძოდ, როდესაც ანტიოქიაში, თეოფილაქტეს პატრიარქობის დროს, მიიღეს გადაწყვეტილება აფხაზეთისათვის დამოუკიდებელი კათოლიკოსის დანიშვნის თაობაზე, იქვე ანტიოქიის საპატრიარქომ, როგორც ვთქვით, აფხაზეთის ეკლესიას წაუყენა პირობა, რომ აფხაზეთის კათოლიკოსი ღვთისმსახურების დროს მოიხსენიებდა ანტიოქიის პატრიარქს, გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანია, რომ **ანტიოქიის საპატრიარქოდან აფხაზეთში ყოველ წელს გაიგზავნებოდა ეგზარქოსი, რომელიც სოფლებიდან შემოწირულობას აკრეფდა და გამოიძიებდა ეკლესიის წინამძღოლთა მოღვაწეობას.** ვფიქრობთ, ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ მაშინ, ახლად დაარსებულ „აფხაზეთის საკათალიკოსოს“ არ ექნებოდა სრული დამოუკიდებლობა.

კონსტანტინოპოლის სამწყსოში შემავალი აფხაზეთის ეკლესია გამოეყო ამ საპატრიარქოს იმ მოტივით, რომ კონსტანტინოპოლი აცდა ღვთის ჭეშმარიტ გზას, მაგრამ როდესაც ბიზანტიის იმპერიაში კვლავ აღდგა ხატთაყვანისცემა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქომაც, ჩანს ძველი გავლენის აღდგენა მოისურვა და დასავლეთ საქართველოს ეკლესიაზე პრეტენზია კვლავ განაცხადა. IX-X

საუკუნეების კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ ეკლესიათა ნუსხებში კვლავ შეტანილ იქნა აფხაზეთის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსოც, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ აფხაზეთის პირველი კათოლიკოსი გამხდარა 744-750 წლებში იოანე; ეს ის პერიოდია, როდესაც აფხაზეთის საერისთავო ბიზანტიის იმპერიის შემადგენელი ნაწილია და მას სათავეში ლეონ I უდგას. ეს ის ლეონია, რომელმაც ბიზანტიისაგან „გაიმკვიდრა საერისთაო თჳსი“ და ჯუანშერის ცნობით, ქართლის მეფე არჩილთან გარკვეულწილად ვასალურ ურთიერთობაშიც შევიდა (რაზეც ვისაუბრეთ). როგორც ჩანს, ამ ეკლესიურმა დამოუკიდებლობამ ლეონ I-ს იმპერიისაგან სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ უბიძგა და ამ კუთხით გარკვეული ნაბიჯები მასაც გადაუდგამს. შემდგომ, ლეონ II-მ მთელი ეტაპები გაიარა ბიზანტიისაგან სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად; როცა ბიზანტიაში კვლავ აღდგა ხატთაყვანისცემა ლეონ II-მ პოლიტიკურადაც და ეკლესიურადაც მაინც დამოუკიდებლობის გზა აირჩია.

როგორც ვთქვით, ბიზანტიაში ხატმებრძოლეობა რამდენიმე ათეულ წელს გაგრძელდა და როდესაც იქ კვლავ აღდგა ხატების თაყვანისცემა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ძველი გავლენის აღდგენას შეეცადა; მაგრამ, ამჯერად დასავლეთ საქართველო უკვე ერთიან სახელმწიფოს, „აფხაზთა სამეფოს“ და შესაბამისად ერთიან, დასავლურ-ქართულ ეკლესიას წარმოადგენდა. ამის მიუხედავად, კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ „ნოტიციებში“ (მისდამი დაქვემდებარებულ ეკლესიათა ნუსხებში) მაინც შეიტანა როგორც მისდამი დაქვემდებარებული ძველი ეგრისის ეპარქიები, ასევე ცალკე აფხაზეთის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო/საკათოლიკოსო; აფხაზეთის საკათოლიკოსო VIII საუკუნის შუახანებში ჩამოყალიბდა; IX საუკუნეში ავტოკეფალურიც გახდა, მაგრამ სებასტოპოლის ეპარქია კონსტანტინოპოლის ეკლესიის „ნოტიციებში“ კვლავ იხსენიება. ე. ი. როდესაც დასავლურ-ქართული ეკლესია ჯერ კიდევ არ იყო გაერთიანებული მცხეთის ტახტთან, კონსტანტინეპოლის საპატრიარქო დასავლეთ საქართველოს კათედრებს, მიუხედავად მათ მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა, ოფიციალურად კვლავ თავის დაქვემდებარებაში განიხილავდა, ხოლო X საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც გაერთიანების პროცესი დასრულდა, ცხადია, ფორმალურად მოხსენიებასაც უკვე აზრი აღარ ჰქონდა. როგორც ფორმალურად, ისე ფაქტობრივადაც, დასავლეთი საქართველო უკვე დაკარგული ჰქონდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს. მაშასადამე, პარალელურად მიდის ეგრის-აფხაზეთის ეკლესიურად გაერთიანების და კონსტანტინოპოლისაგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესი; „აფხაზთა სამეფო“ ითხოვს როგორც ეგრისის საეპისკოპოსოების, ასევე აფხაზეთის არქიეპისკოპოს/კათოლიკოსის სრულ დამოუკიდებლობას, ავტოკეფალიას. თუ აქამდე აფხაზეთის არქიეპისკო-პოსის/კათოლიკოსის სამწყსო მხოლოდ აფხაზეთის საერისთავოს საზღვრებით იფარგლებოდა, ამჯერად „აფხაზეთის“, როგორც დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეკლესიის საჭეთმპყრობელი თავისი გაფართოებული სამწყსოს

(„აფხაზთა სამეფოს“) საზღვრებში დამოუკიდებლობის, ავტოკეფალიის ცნობას სწორედ კონსტანტინოპოლისაგან მოითხოვდა (ამ დროს კონსტანტინოპოლი კვლავ ხატთაყვანისმცემლობას, ანუ ჭეშმარიტად ღვთიურ გზას დაუბრუნდა).

ჯუანშერის თხზულების ჩანართში „აფხაზეთის“, როგორც დასავლეთ საქართველოს გაერთიანებული ეკლესიისა და სახელმწიფოს საკათოლიკოსოს დაარსებასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: **„აქა გამოჩნდა კათალიკოზი აფხაზეთისა, ჟამსა მას ლეონ ისავროსისა ქრისტეს აქეთ შჳდას ოც წელს“**. ეს ცნობა გვხვდება ჯუანშერის თხზულების გვიანდელ ჩანართში. ამ საკითხთან დაკავშირებული ჩანართი გვხვდება ასევე „მატიანე ქართლისას“ ტექსტშიც:

ქრისტეს აქეთ 830 წელს ბაგრატ კურაპალატმა **„გააჩინა და განაწესა კათალიკოსი აფხაზეთს“**. „მატიანე ქართლისას“ ავტორი, როდესაც მოგვითხრობს „ბაგრატის ტაძრის“ კურთხევის შესახებ წერს, რომ ბაგრატ III-მ: **„აკურთხა ეკლესია ქუთათისა განგებითა დიდითა და მიუწდომელითა. რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ჰელმწიფენი და კათალიკოსნი** (ხაზგასმა ჩვენია, შ. გ.), **მღდელთ-მოძღუარნი და სხუათა ყოველთა საჰელმწიფოთანი“**.

მოტანილი წყაროები „აფხაზთა სამეფოს“ არსებობისა და მის წინა პერიოდს ეხება, მაგრამ „აფხაზეთის საკათალიკოსოს“ დაარსებასთან დაკავშირებით საინტერესოა ცოტათი გვიანდელი რამდენიმე წყაროს ცნობაც და ამიტომ, ქვემოთ მათი ტექსტებიც მოგვაქვს. კერძოდ, უმნიშვნელოვანესია **„ახალციხური ტყავის სახარების“** ანდერძი, რომელიც გვამცნობს:

„გეველერები ... ჴსენებულ გუყვენით ... გამზრდელნი ჩემნი სჳმეონ აფხაზეთისა კათალიკოსი და მოძღუარი ჩემი დიმიტრი ... და თჳთ მე საწყალობელი [გიორგი]“. ეს ანდერძი შესრულებულია არაუგვიანეს XII საუკუნის I ნახევრისა. როგორც ვხედავთ, აქ პირდაპირაა მოხსენიებული „აფხაზეთის კათალიკოსი“. უმნიშვნელოვანესია „მატიანე ქართლისას“ ზემოთ მოტანილი ციტატაც, სადაც იხსენიება არაერთი, ვთქვათ ქართლის კათოლიკოსი, არამედ მრავლობითში – **„კათალიკოსნი“**. ეს XI საუკუნის დასაწყისის ისტორიულ სურათს ასახავს. როგორც აღვნიშნეთ, „ახალციხური ტყავის სახარების“ ანდერძიც XII საუკუნის I ნახევრამდე დაიწერა. მაშასადამე, სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ „აფხაზთა სამეფოში“ (იმდროინდელ „აფხაზეთში“ ანუ დასავლეთ საქართველოში) X საუკუნეში ერთიან დასავლურ-ქართულ ეკლესიას უკვე კათოლიკოსი ედგა სათავეში; **ე. ი. „აფხაზეთის საკათალიკოსო“ X საუკუნეში უკვე ნამდვილად დაარსებულია და ამ ფაქტს შეიძლება IX საუკუნეშიც ჰქონდა ადგილი.** თუ გავიხსენებთ, რა ვითარებაში იქმნება „აფხაზთა სამეფო“, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს რამდენად აუცილებელი იქნებოდა ბიზანტიისაგან სრული დამოუკიდებლობის მიღწევა; ბიზანტიის **„მოუძლურებით“** ისარგებლა „აფხაზეთის ერისთავმა“ და ფაქტობრივად იმპერიასთან დაპირისპირებით მოიპოვა დამოუკიდებლობა; თუ ტაო-კლარჯეთის სამთავრო ბიზანტიასთან კავშირში შეიქმნა, „აფხაზთა სამეფო“ საბოლოოდ საპირისპირო პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა. ამიტომაც, ბუნებრივია, „აფხაზთა სამეფოს“ შექმნის საწყის ეტაპზე, მისი პირველი

მეფეები ყოველნაირად ეცდებოდნენ მოპოვებული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას; ისინი ბიზანტიის იმპერიას ძნელად თუ დაითანხმებდნენ ეცნო „აფხაზთა სამეფოს“ დამოუკიდებლობა. ამ რთულ პერიოდში, ბიზანტიის იმპერიისაგან ჩამოცილების პროცესში, გადამწყვეტი როლი სწორედ რელიგიურ ფაქტორსაც ენიჭებოდა – **ბიზანტია იყო ერთმორწმუნე.** საერთოდ, ქართულ ცნობიერებაში ბიზანტიას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც სულიერების თვალსაზრისით, ასევე სახელმწიფოებრივად; თუ ბიზანტია ქართული სახელმწიფოებრიობისათვის, ხშირ შემთხვევაში, აგრესორად გვევლინება, იგივე ბიზანტია იყო ის ქვეყანა, საიდანაც ქრისტიანობა შემოვიდა საქართველოში და რომელიც ქრისტიანობის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. ამ მხრივ, ქართველი ერისთვის მას უდიდესი სულიერი მოკავშირის სტატუსი გააჩნდა. „აფხაზთა სამეფო“, როდესაც ბიზანტიის საწინააღმდეგოდ ცალკე, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, საჭირო გახდებოდა აქ მძლავრი ქრისტიანული კერის შექმნა და ამ კუთხითაც ქართულ ცნობიერებაში ბიზანტიის როლის ჩანაცვლება; დამოუკიდებელი სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდა მოწინააღმდეგე ქვეყნისგან **სრულ იდეოლოგიურ და ფაქტობრივ დამოუკიდებლობას,** ამიტომაც, აუცილებელი იყო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ ეს იქნებოდა რთული პროცესი: ბიზანტიამ, როგორც ვთქვით, უდიდესი როლი ითამაშა ზოგადად იმდროინდელი ქართული მენტალიტეტის ჩამოყალიბებაში; ქრისტიანობით შემოიტანა აქ კულტურა, რომლის ორიგინალური, ქართული, თვითმყოფადი ხაზიც განვითარდა, მაგრამ ქართულ ცნობიერებაში ბიზანტია მაინც ამ კულტურის – ქრისტიანობისა და საერთოდ, ქრისტიანული კულტურის უმთავრეს კერად დარჩა. განსაკუთრებით VII საუკუნიდან, იმ დროიდან, როდესაც არაბეთის სახელმწიფოში ახალი რელიგია ჩაისახა და ეს რელიგია, მაჰმადიანობა, დროის მოკლე პერიოდში საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე გავრცელდა, ქრისტიანული ქვეყნებისათვის და მათ შორის, საქართველოსთვისაც ბიზანტიამ უფრო დიდი მნიშვნელობა მოიპოვა. როდესაც არაბებმა VIII საუკუნეში დაიპყრეს ქართლი, ბუნებრივია, ქართულ ცნობიერებაში ბიზანტია უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა, როგორც რეალური მოკავშირე და ერთმორწმუნე ქვეყანა. ამას ემატებოდა ის სულიერი კავშირი რაც ეკლესიურად ბიზანტიაზე დაქვემდებარებაში გამოიხატებოდა. „არაბობის“ ხანაში ქვეყნის პერიფერიებზე ჩამოყალიბებული ქართული სახელმწიფოები, ქრისტიანული ქვეყნები, გარკვეულწილად ბიზანტიაზე ამყარებდნენ იმედებს და ამის შესანიშნავი მაგალითია ტაო-კლარჯეთის „ქართველთა სამეფო“, რომელიც ბიზანტიასთან მოკავშირეობით შეიქმნა. ამ ფონზე „აფხაზეთის“ ერისთავი, არაბებთან დაპირისპირებული ბიზანტიის იმპერიის **„მოუძლურებით“** სარგებლობს, არ პატიობს სარწმუნოებრივ საკითხში „გადახვევას“ – ხატმებრძოლეობას, პოლიტიკურად იყენებს ამ მდგომარეობას და ემიჯნება მას. ამიტომ, აუცილებელი გახდა აქ ქართული სახელმწიფოს შექმნა, ქართული კულტურით და ახალი ცნობიერებით, რომელიც სულიერადაც და საერთოდ, სახელმწიფოებრივი ცნობიერებითაც იქნებოდა აბსოლუტურად

დამოუკიდებელი თავის საზღვრებში. ეს ყოველივე გახდებოდა საფუძველი დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ბიზანტიისაგან ჩამოსაცილებლად და აქ საკათოლიკოსო ცენტრის შესაქმნელად. თავდაპირველად, „აფხაზთა მეფეები“ ახორციელებენ არა დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსო კათედრების შეერთებას მცხეთასთან, არამედ აარსებენ დამოუკიდებელ, ქართულ საყდარს – აფხაზეთის საკათალიკოსოს. დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან გამოსვლა და დამოუკიდებელ საეკლესიო ორგანიზმად – აფხაზეთის საკათოლიკოსოდ ჩამოყალიბება თანადროული მოვლენებია.

„აფხაზთა სამეფო“ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. ბიზანტიისაგან სახელმწიფოებრივ-ეკლესიური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ის ვითარდება, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიური გაერთიანება უფრო გვიან პერიოდს, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას უნდა უკავშირდებოდეს და ამ მხრივ, ისტორიულ წყაროებში უმთავრეს მინიშნებად ქართლის კათოლიკოსის **„პატრიარქად“** მოხსენიება მიგვაჩნია. IX საუკუნესთან შედარებით, X საუკუნეში განსხვავებული ისტორიული სურათია. უკვე ფაქტობრივად იწყება ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლა. ესაა პერიოდი, როდესაც იმდროინდელ ქართულ სახელმწიფოებში – „აფხაზთა სამეფოში“, ტაო-კლარჯეთში, კახეთში თუ ჰერეთში კარგად ესმით, რომ აუცილებელია კონსოლიდაცია და ერთიანი სახელმწიფოს შექმნა; ეს არის პერიოდი, როდესაც უკვე ნათქვამია: **„ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.**

ქართული მიწების უდიდესი ნაწილის ერთ პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანება წარმატებით განხორციელდა ბაგრატ III-ის მეფობის დროს. სწორედ, ამის შემდეგ ხდება ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი **პატრიარქი,** „ყოვლისა საქართველოჲსა მამამთავარი“. ერთიან სახელმწიფოში ეკლესიაც ერთიანია და დასავლეთ საქართველოს ეკლესიის აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიასთან გაერთიანება სავსებით ბუნებრივი და რეალურია. ქართლის (აღმოსავლეთ საქართველოს) კათალიკოსის მიერ „პატრიარქობის“ მიღება დაკავშირებული უნდა იყოს ორი ქართული საკათალიკოსოს (ქართლის და აფხაზეთის საკათალიკოსოები) გაერთიანებასთან. უფრო დიდი ტრადიციებისა და ქართველური სამყაროს უძველესი საეკლესიო ცენტრის ფუნქციის მქონე საყდრის მწყემსმთავარი – ქართლის კათალიკოსი იღებს „პატრიარქის“ ტიტულს. ამიერიდან, იგი პატივითაც და იერარქიულადაც უპირატესი ხდება დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსზე.

წყაროთა სიმცირის გამო, ძნელია კონკრეტულად თქმა, თუ „აფხაზთა“ რომელი მეფის დროს დაარსდა „აფხაზეთის საკათალიკოსო“. ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს გუდაუთის რაიონის სოფელ **ხუაფის** ეკლესიის ერთ-ერთი წარწერა:

„აღაშენა წმიდაი ესე ეკლესიაი. . . მამადმთავარმან, მეფობასა გიორგისსა, ოდეს. . . დაიბადა მისსა. . . წმიდაო ნიკოლოზ, მეოხ ეყავ წინაშე ქრისტესა.“

ძალზე საინტერესო და მრავლისმთქმელია წარწერის პირველი გამომცემლის ა. ავიძბას განმარტება: „Положение о том, что указанный на каменной плите Георгии является именно Георгием II абхазским, подтверждается вторым именем, фрагментарно высеченим на плите – это имя Гурандухт“.

ამ ცნობას წყароსეული ინფორმაციის მნიშვნელობა აქვს და წარწერის შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელია საუბარი სწორედ „აფხაზთა მეფე“ გიორგი II-ზე და მის ასულ გურანდუხტზე იყოს.

ხუაფის წარწერაში ყურადღებას იქცევს ტერმინი **„მამადმთავარი“,** ანუ აქ, შეიძლება ლაპარაკია „აფხაზეთის კათალიკოსზე“, რომელმაც აქ წმინდა ნიკოლოზის სახელზე ეკლესია ააშენა.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გიორგი II „აფხაზთა მეფის“ ზეობის დროს (922-957 წწ.), დასავლეთ საქართველოს ეკლესიას სათავეში უკვე ნამდვილად უდგას **„მამამთავარი“** ანუ კათოლიკოსი „აფხაზეთისა“.

„აფხაზთა საკათალიკოსოს“ ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენ მიგვაჩნია, როგორც სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბება იყო რამდენიმე ეტაპისაგან შემდგარი პოლიტიკური აქტი, ასევე, „აფხაზთა საკათალიკოსოს“ საბოლოოდ, სუვერენული უფლებებით ჩამოყალიბება, მოხდა გარკვეული ეტაპების გავლის შედეგად. VI საუკუნიდან მოყოლებული ეგრისის სამეფოს გამოეყო აფხაზეთის საერისთავო და ის უშუალოდ ბიზანტიის შემადგენელ ნაწილად იქცა. VIII საუკუნის I ნახევრის მოღვაწე, აფხაზეთის ერისთავი, ანუ ბიზანტიის შემადგენელი ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის მფლობელი, ბიზანტიის მოხელე („სტრატეგოსი“) – ლეონ I აფხაზეთის ეკლესიას, როგორც ხატთაყვანისმცემლურს, გამოყოფს ხატმებრძოლი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსგან და ანტიოქიის საპატრიარქოსაგან იღებს აფხაზეთის ეკლესიის გარკვეულწილად ავტონომიას/ავტოკეფალიას. აფხაზეთის საერისთავოს ეკლესიის მამამთავარი ხდება ნახევრად სუვერენული არქიეპისკოპოსი/კათოლიკოსი. ამ ეტაპზე, მისი სამწყსოს საზღვრები ვრცელდებოდა მხოლოდ აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორიაზე.

ბიზანტიაში, ხატმებრძოლეობის ოფიციალურ რელიგიურ მიმდინარეობად აღიარების შემდეგ, ლეონ I ბიზანტიისაგან არა მხოლოდ ეკლესიური, არამედ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლადაც დგამს ნაბიჯებს და გარკვეულ ვასალურ ურთიერთობაში შედის არჩილ ქართლის „მეფესთან.“ ლეონ I-ს აფხაზეთის საერისთავო უკვე მემკვიდრეობით მფლობელობაში აქვს მიღებული. დამოუკიდებლობის ეს პროცესი გააგრძელა მისმა მემკვიდრემ, ძმისწულმა ლეონ II-მ, რომელმაც პოლიტიკურად გააერთიანა დასავლეთ საქართველო ერთ სახელმწიფოდ – „აფხაზთა სამეფოდ“. ბუნებრივია, ასეთ

ვითარებაში, „აფხაზთა სამეფო“ ეკლესიურადაც გააერთიანებდა ეგრისის ეპარქიებს აფხაზეთის საარქიეპისკოპოსო/საკათალიკოსოსთან. ამ უკვე ერთიანი, დასავლურ-ქართული სახელმწიფოს, „აფხაზთა სამეფოს“ საკათოლიკოსოს დაარსება ახალი ეტაპია „აფხაზთა საკათალიკოსოს“ საბოლოოდ ჩამოყალიბებაში, რასაც აშკარად IX საუკუნეში ჰქონია ადგილი.

ფაქტობრივად, ზემოთ ჩვენ შევეხეთ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გაერთიანების, ამ გაერთიანებული, ერთიანი ქართული ეკლესიის კონსტანტინოპოლისაგან ჩამოცილების და მის მცხეთის საკათოლიკოსოსადმი დაქვემდებარების საკითხებს; ეს ყველაფერი არის იმ მოვლენათა ჩამონათვალი, რომელთაც ადგილი ჰქონდა „აფხაზთა სამეფოში“, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, მაინც ის არის, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული იყო იმ პოლიტიკის შედეგი, რომელსაც ატარებდნენ „აფხაზთა მეფეები“. სწორედ, მათმა ქართულმა პოლიტიკამ განაპირობა საქართველოს ამ ძირძველ მხარეში ეროვნული სულის აღორძინება. „აფხაზთა სამეფოში“ ქართული ენის გაბატონებასაც, სწორედ, ამ სამეფოს მეფეები უწყობდნენ ხელს. აფხაზთა მეფეები, რომლებმაც გამოყვეს აფხაზეთის ეკლესია კონსტანტინეპოლიდან და ის მცხეთის ტახტს დაუკავშირეს, ზრუნავდნენ აფხაზეთში ქართული ენის განმტკიცებისათვის. ბერძნული საეპისკოპოსოების გვერდით „აფხაზთა“ მეფეები ქმნიან ქართულ საეპისკოპოსოებს და დასავლეთ საქართველოში, საბოლოოდ ასე ანაცვლებენ ბერძნულ ეკლესიას ქართულით. მომდევნო პერიოდშიც „აფხაზთა სამეფოში“ ქართული კულტურის განვითარება სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი. უშუალოდ მეფეები ქართული კულტურისა და განათლების კერების დაარსების ინიციატორებად გვევლინებიან.

სრულიად სამართლიანად წერდა პავლე ინგოროყვა, რომ **„თვით აფხაზეთის სამეფო ამ დროს გამხდარა ერთ-ერთი ცენტრი ქართული საეკლესიო მწერლობისა, აფხაზთა სამეფოს ხელისუფლების საგანგებო მფარველობის ქვეშ“**. ქართულ წყაროებში ამის დამადასტურებელი არაერთი ფაქტია აღწერილი.

„აფხაზთა მეფის“, გიორგი II-ის სახელთან არის დაკავშირებული მარტვილის საყდრის მშენებლობა (თუ განახლება) და აქ საეპისკოპოსოს შექმნა. „მატიანე ქართლისა“ გვამცნობს: „იყო იგი სრული ყოვლითა სიკეთითა, სიმჴნითა და ახოვნებითა; ღმრთის-მოყუარე იყო, უმეტეს ყოველთა მაშენებელი ეკლესიათა, მოწყალე გლახაკთა, უხჴ და მდაბალი, და ყოვლითა კეთილითა და სათნოებითა სრული... აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ, და განაშუენა იგი ნაწილთა სიმრავლითა წმიდათა მარტჴლთათა“. გიორგი II-ის პიროვნების დახასიათებისას, ვახუშტი ბაგრატიონი საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ ის იყო **„ეკლესიათა მაშენებელი“**. ვახუშტი ბატონიშვილი მარტვილის ტაძრის შესახებაც მოგვითხრობს: „ბანძას ზეით და ცხენისწყლის დასავლით, და მისი მჭრუეტი, მაღალს ადგილზედ, არს ჭყონდიდი, ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი, მარტვირისა. ეს აღაშენა მეფემან აფხაზთამან გიორგიმ და შეამკო ყოვლითა შემკობილებითა საეკლესიოსათა“. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენამდე

მოაღწია მარტვილის ეკლესიის ბერძნულმა წარწერამ (XV–XVI სს.), რომელშიც ვკითხულობთ:

„კონსტანტინე მეფემ ააგო ჭყონდიდი...“

კონსტანტინე იყო გიორგი II „აფხაზთა მეფის“ მამა, რომელიც „აფხაზეთში“ გიორგი II-მდე მეფობდა. აღნიშნული წარწერა გადმოგვცემს, რომ, სწორედ ამ კონსტანტინემ ააგო ჭყონდიდის ტაძარი. ეს წარწერა ფრაგმენტულია და სავარაუდოდ, მის გაგრძელებაში, ალბათ, გიორგი II-ზეც იქნებოდა საუბარი. ყოველი შემთხვევისათვის, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჭყონდიდის ტაძრის მშენებლობა (თუ აღდგენა), კონსტანტინე „აფხაზთა მეფის“ დროს დაწყებულა, ხოლო გიორგი II-ს უკვე დაუსრულებია ეს პროცესი და საეპისკოპოსოდაც უქცევია. ეტყობა, ტაძრის განახლების დროს, საგანგებოდ აღადგინეს, ან თავიდან შეასრულეს წარწერა ამავე ტაძრის აღმშენებელთა სახელების უკვდავსაყოფად. მაშასადამე, XV-XVI საუკუნეებში სცოდნიათ, რომ მარტვილის (ჭყონდიდის) ტაძრის მშენებლობა არა მარტო გიორგი II-ის, არამედ კონსტანტინე III „აფხაზთა მეფის“ სახელსაც უკავშირდება.

„აფხაზთა სამეფოს“ კულტურული ვითარების განხილვისას არ შეიძლება არ შევეხოთ ქართველი მწერალ-ჰიმნოგრაფის **იოანე მინჩხის** მოღვაწეობას. მეცნიერთათვის იოანე მინჩხის შემოქმედება პირველად ცნობილი გახადა ივ. ჯავახიშვილმა, რომელიც 1902 წელს ექსპედიციაში იმყოფებოდა სინას მთაზე. 1913 წელს, უკვე პავლე ინგოროყვა აქვეყნებს მიქაელ მოდრეკილის იადგარში შესულ მინჩხის 6 საგალობელს (ჰიმნოგრაფიული კანონები თევდოსი მეფისა და ექვთიმე დიდისადმი; აღდგომის იამბიკური კანონი და აღდგომის სტიქარონი; ორი შიოსადმი მიძღვნილი მინჩხის საგალობელი). ეს იყო იოანე მინჩხის საგალობელთა პირველი პუბლიკაცია. ამის შემდეგ, არაერთი ავტორი შეეხო იოანე მინჩხის მოღვაწეობას, ფართოდ გაშუქდა და შესწავლილ იქნა მისი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა და X საუკუნის ამ უთვალსაჩინოესმა წარმომადგენელმა თავისი ღირსეული ადგილი დაიკავა ქართულ კულტურაში.

იოანე მინჩხი ავტორია იადგარიდან ცალკე გამოყოფილი პირველი ქართული **„მარხვანის“*** სტიქარონული ნაწილის; იოანე მინჩხია აგრეთვე პირველი ქართული „მარხვანის“ შემდგენელი და რედაქტორი. „ქართული მარხვანის შედგენით იოანე მინჩხმა შექმნა მთელი ერა ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში. ქართული მარხვანის ყველა შემდეგდროინდელ რედაქციას საფუძვლად უდევს მინჩხისეული პირველი ქართული მარხვანი. ბიზანტიური ტიპის მარხვანს მინჩხმა შემატა ორიგინალური, ქართული ფენა. ქართულ ჰიმნოგრაფიაში ეს არის ბერძნულიდან თარგმნილი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულების გამიზნულად გაქართულების ერთადერთი შემთხვევა. იოანე მინჩხის სახელს უკავშირდება აგრეთვე კანონების II ოდებით შევსების ტრადიციის საფუძვლის ჩაყრა. მას ეკუთვნის ქართულ ენაზე დაწერილი საეკლესიო ჰიმნები. იოანე მინჩხი „აფხაზეთში“ სწორედ გიორგი II-ის მეფობის დროს მოღვაწეობდა. ჩანს, ქართული კულტურის აღორძინებისათვის მებრძოლი მეფე მას მფარველობდა და მოღვაწეობაში ხელს

უწყობდა. იოანე მინჩხის ერთ-ერთ ჰიმნს ასეთი წარწერა აქვს: **„ესე გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერვებიან მინჩხისადა“.** გარდა ამისა, წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი მინჩხის ერთ-ერთი საგალობლის აკროსტიხშიც* ვხვდებით გიორგი II „აფხაზთა მეფის“ ხსენებას: **„წმიდავო გეორგი, შეეწიე გეორგის მეფესა წინაშე მეუფეთა მეუფისა და ადიდე“.** იოანე მინჩხი სინას მთაზე მოღვაწეობდა და მისი საგალობლების დიდი ნაწილი, სწორედ, სინას მთის ხელნაწერებშია.

ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ მინჩხის საგალობლებში განსაკუთრებული ადგილი უკავია **წმინდა გიორგისადმი** და **წმინდა აბოსადმი** მიძღვნილ საგალობლებს. „აფხაზთა სამეფო“ აგრძელებს და ნერგავს საერთო ქართულ კულტურულ ტრადიციებს. წმინდა გიორგი ქართულ ცნობიერებაში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს. საქართველოში მის სახელზე მრავალი ეკლესია-მონასტერია აგებული. უხვად იქმნებოდა მისადმი მიძღვნილი საგალობლები და ასევე, უამრავი ითარგმნა ქართულ ენაზე. იოანე მინჩხიც, როგორც იმდროინდელი ქართული კულტურის შესანიშნავი და უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, აგრძელებს ამ საერთო ქართულ ტრადიციას და, როგორც ვთქვით, საგანგებოდ ქმნის წმინდა გიორგისადმი საგალობლებს.

ყოველი ქვეყანა, თუ ქვეყნის კუთხე ამაყობს იმით, რომ აქ უმოღვაწია, ულოცია, თუნდაც მხოლოდ ერთხელ მაინც ფეხი დაუდგამს რომელიმე წმინდანს. ამ მხრივ, უმნიშვნელოვანესია **წმინდა აბოს** კავშირი „აფხაზთა სამეფოსთან“; იოანე საბანისძემ საგანგებოდ აღწერა წმინდა აბოს მარტვილობა. არაბთაგან დევნილი ქართლის ერისმთავარი იმდროინდელ აფხაზეთს (ჯერ კიდევ არა „აფხაზთა სამეფოს“, არამედ აფხაზეთის საერისთავო-სამთავროს) აფარებს თავს. მასთან ერთადაა სწორედ არაბი ყმაწვილი **აბოც,** რომელიც ქრისტიანობის გზას დაადგა და უარყო თანატომელთა მაშინდელი რელიგია – ისლამი. როდესაც ვსაუბრობდით „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბების შესახებ, აღვნიშნეთ, რომ ნერსესა და აბოს ქართლიდან „აფხაზეთს“ გადასვლა ემთხვევა ლეონ II-ის მოღვაწეობას, კონკრეტულად იმ პერიოდს, როდესაც ლეონი დგას ბიზანტიის იმპერიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე (მალე ის გახდა პირველი „მეფე აფხაზთა“). როდესაც ლეონმა გაიგო აბოს გაქრისტიანების ამბავი, მისდამი უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით განმსჭვალულა. იოანე საბანისძე გადმოგვცემს: „მაშინ, ვითარცა ეუწყა მთავარსა მას აფხაზეთისასა ნეტარისა ჰაბოჲსთჳს, რამეთუ ახალ ნათელ-ღებულ არს, განიხარა ფრიად ყოვლით ერით მისითურთ; და მოუწოდეს მას მთავარმან მან და ეპისკოპოსმან და მღდელთა და აკურთხევდეს და ნუგეშინის-სცემდეს და უთხრობდეს მას სიტყუათა ცხორებისათა და ახარებდეს ქრისტჱსთჳს და საუკუნოჲსა მის ცხორებისათჳს“. წმინდა აბომ სწორედ „აფხაზეთში“ დაიწყო მხურვალე ლოცვა და მარხვა, „ვითარცა უდაბნოსა ზედა“, რაც სამი თვე გაგრძელებულა. „ხოლო წმიდათა მათ დღეთა დიდისა მის მარხვისათა, შჳდთა მათ შჳდეულთა, კჳრიაკესა და დღესა შაბათსა ხოლო მი-რაჲ-იღის წმიდა იგი საიდუმლოჲ, ჴორცი და სისხლი ქრისტჱსი, მაშინღა ნაკლულევნად მიიღის

საზრდელი. ვიდრემდის მიიწია იგი წმიდისა მას დღესა, დიდსა დღესასწაულსა აღვსებასა, აღდგომასა ქრისტჱს ღმრთისა ჩუენისასა. მაშინღა დააცადა ფიცხელი იგი მარხვაჲ და განჰჴსნა ენაჲცა თჳსა უტყუებისაგან და ადიდებდა ღმერთსა". როგორც ვხედავთ, აბო პირველად სწორედ „აფხაზეთში" ეზიარა. არაბი ყმაწვილის გაქრისტიანებამ განაცვიფრა ლეონიც და **„ყოველი ერი მისი"**. აქედან მოყოლებული, ბუნებრივია, ქართულ ცნობიერებაში, „აფხაზთა სამეფოში" განსაკუთრებული დამოკიდებულება იქმნება წმინდა აბოს მიმართ. მისი „აფხაზეთში" ყოფნა დიდმნიშვნელოვნად განაპირობებდა მისადმი ასეთ განსაკუთრებულობას. ამის მაუწყებელი უნდა იყოს X საუკუნეში იოანე მინჩხის ჰიმნოგრაფიულ შემოქმედებაში წმინდა აბოსადმი მიძღვნილ საგალობელთა შექმნაც. შემდგომ პერიოდში, უკვე თვით მინჩხის შემოქმედება და წმინდა აბოსადმი მიძღვნილი მისი საგალობლები გახდა ახალ საგალობელთა შექმნისა და ქართული ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის გამდიდრების მნიშვნელოვანი საფუძველი.

ასევე, X საუკუნის II ნახევრის მოღვაწეა ჰიმნოგრაფი **სტეფანე სანანოის-ძე ჭყონდიდელი.** ის იხსენიება ექვთიმე მთაწმიდელის თეოდორე მრეკალისადმი მიწერილ წერილში და ჩანს, რომ მას 980-990-იან წლებში კონტაქტები ჰქონია იოანე და ექვთიმე მთაწმიდელებთან. მიქაელ მოდრეკილის კრებულში დაცულია მისი საგალობლები. ჩვენამდე მოღწეულია მისი 1) **„საგალობელნი ჰაბოჲსნი"** და 2) **„საგალობელი სტეფანეჲსი".**

იხილავდა რა „აფხაზთა სამეფოს" კულტურულ ვითარებას, პავლე ინგოროყვა წერდა: „ქართულ საეკლესიო მწერლობას აფხაზეთში მკვიდრი ნიადაგი ჰქონია ამაზე ადრინდელ ხანაშიაც, მე-9 საუკუნეში" და მიუთითებდა **„მარტვილობა მიქაელ საბაწმიდელისა"**-ს და **„დავითის და კონსტანტინეს მარტვილობაზე"**, ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ძეგლებზე, რომლებიც დაიწერა დასავლეთ საქართველოში.

სააღმშენებლო საქმიანობით გამოირჩეოდა „აფხაზთა მეფე" ლეონ III. მის შესახებ „მატიანე ქართლისაში" დაცულია ცნობა, რომ ის იყო **„ღმრთის-მოყუარე და სავსე ყოვლითა კეთილითა. ამან აღაშენა ეკლესია მოქჳსა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა"**. ლეონის დროსვეა აშენებული **კუმურდოს** ეკლესიაც, რასაც ამ ეკლესიის წარწერა ადასტურებს. რადგანაც ქართულ წარწერებს შევეხეთ მოკლედ ვიტყვით, რომ ლეონ III მოხსენიებულია **წირქოლის** ეკლესიისა და **სამშვილდის** სიონის წარწერებშიც. **არმაზის** წმ. გიორგის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებულია მეფე გიორგი I, ხოლო **ერედვის** წმ. გიორგის ეკლესიის 918-922 წწ., **სამწევრისის** ეკლესიის 912/913 წლის და **სამშვილდის** სიონის X საუკუნის 50-იანი წლების საამშენებლო წარწერები გვაწვდიან ცნობებს „აფხაზთა მეფე" კონსტანტინე III-ის შესახებ.

ძალზე საინტერესო ცნობაა დაცული გიორგი მერჩულეს თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება": IX საუკუნეში **ფერსათში** არსებულა დედათა მონასტერი, სადაც მოღვაწეობდა **ბევრეულისა-ანასტასია** დედოფალი. ის იყო

ასული ბაგრატ შაროელის (ხელმწიფე-უფლისწულის). ფერსათის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ვარციხეს ზეით ერთვის რიონს ხანის წყალი, გამოსდის ფერსათს, მოდის ჩდილოთ და მიერთვის რიონს სამჭრიდამვე. ამაზედ აღაშენეს ოსმალთა ციხე . . . და პირველ ეწოდა ადგილსა ამას ბაღდადი . . . ამ წყალზედ, ციხის სამჭრით, ფერსათის კალთას, არს მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, და აწ უქმი“. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაზე დაყრდნობით დგინდება, რომ ფერსათის მონასტერი გაშენებული ყოფილა არა თანამედროვე სოფელ ფერსათში (რომელიც ბაღდადის ჩრდილოეთით, ბარში მდებარეობს), არამედ ფერსათის მთის კალთაზე, ბაღდადის ციხის სამხრეთით.

როგორც ვთქვით, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ თანახმად, ფერსათის მონასტერში მოღვაწეობდა ბევრეულისა-ანასტასია, რომელიც ბაგრატ შაროელის ასული იყო. როგორც ჩანს, ეს მხარე, ამ სავანესთან ერთად, ბაგრატის სამფლობელო იყო.

„აფხაზთა მეფეები“, როგორც კულტურულ-საეკლესიო, ასევე სახელმწიფო პოლიტიკას საერთო ქართული ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებდნენ. პ. ინგოროყვას მიხედვით, „ხანა „აფხაზთა“ სამეფოსი – ეს არის ეპოქა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სრული და საბოლოო გამარჯვებისა დასავლეთ საქართველოში“. „დასავლეთ საქართველოში ქართლის გზით ქართულენოვანი ქრისტიანული მღვდელთმსახურების და განვითარებული ქართული დამწერლობის მძლავრი ნაკადის შემოსვლა კიდევ უფრო აღრმავებდა ქართებისა და ზანების (მეგრელ-ჭანების) დაახლოების პროცესს და იწვევდა ქართული ენის პოზიციების განმტკიცებას.

„აფხაზთა სამეფოში“ უმნიშვნელოვანესი იყო „აფხაზთა მეფეების“ ისტორიის – ე. წ. **„მეფეთა დივანის“** ქართულ ენაზე შექმნა.

„აფხაზთა სამეფოში“ აიგო არაერთი ქართული უთვალსაჩინოესი ხუროთმოძღვრების ძეგლი, რომლებიც დღემდე საგანძურად შემორჩა საქართველოს კულტურას, და ყველაფერ ამას, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერითა და მონაწილეობით ხელმძღვანელობდნენ „აფხაზთა მეფეები“. ხუროთმოძღვრული ძეგლები თავისთავად წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს წყაროს იმდროინდელი საქართველოს ისტორიის შესახებ. „არაბობის“ დამყარების შემდეგ საქართველოში უმძიმესი ვითარება შეიქმნა, მაგრამ მთელი სიმძიმე თბილისს დააწვა; თბილისში იქნა კონსოლიდირებული ძირითადი არაბული ბირთვი და პერიფერიაზე ხდება ქართული კულტურული ძალების თავმოყრა. მიუხედავად ამ პროცესისა, როდესაც არაბების მიერ მოოხრებულ ქვეყანაში იქმნება ცალკეული ქართული სამეფო-სამთავროები, ისინი მაინც ერთიანი პოლიტიკის, ერთიანი ქართული კულტურული არეალის პირობებში ყალიბდებოდნენ. არაბებისაგან მოოხრებული ქვეყანა თავისთავადობის, ქართული კულტურის შენარჩუნებას სწორედ ამ ფორმით ახერხებს; ქართული საზოგადოება საქართველოს გეოგრაფიულ არეალში სხვადასხვა კულტურულ ცენტრებს ქმნის, სადაც ქართული სული და ქართულობა იქნა შენარჩუნებული. უნდა აღინიშნოს, რომ არაბებმა, მიუხედავად მათი ძალმომრეობისა და

სისასტიკისა (რაც განსაკუთრებით მურვან ყრუს შემოსევებიდან იწყება), საქართველოში მაინც ვერ შეძლეს ის, რაც მოახერხეს სხვა, საქართველოზე მეტად ძლიერ ქვეყნებში, თუნდაც ირანში. მათ ირანში შეძლეს ისლამის გავრცელება, რამაც ფაქტობრივად, ქვეყანაში მთელი ცნობიერების შეცვლა მოიტანა; იქ „ცხოვრებისა და კულტურის ყველა მხარემ არსებითი ცვლილება განიცადა. საქართველომ ქრისტიანული სარწმუნოება შეინარჩუნა არაბობის დროსაც, ეს კი იმ პირობებში ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებას უდრიდა“. ამ პერიოდში, საერთო ქართული ტენდენციები თითქმის ყველა ახლად ჩამოყალიბებულ ქართულ სამეფო-სამთავროში შეინიშნება. ამ დროს ახალი ძალით იწყება ქართული ეკლესია-მონასტრების შენება. როგორც ჩანს, იმდროინდელი ქართული საზოგადოება, სახელმწიფო მოღვაწენი, კარგად ხედავდნენ ეკლესია-მონასრტრების მნიშვნელობას ქვეყნის სიმტკიცის, განათლების, სულიერებისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქმეში. ტაო-კლარჯეთში, „აფხაზთა სამეფოში“, ქართლში თუ კახეთში მიმდინარე პროცესები, კულტურული თვალსაზრისით, ერთიანი პროცესის ანარეკლია, აქ მიმდინარე შემოქმედებითი ცხოვრება საერთო ქართული ტენდენციაა, საერთო მტრის, არაბების ბატონობის პირობებში მაინც აღმავლობა და გააქტიურებულად ქართული საქმის კეთებაა. საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში თემატურად რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ ხდება; „მნიშვნელობის მხრივ ახლაც გუმბათიან ეკლესიებს ენიჭება უპირატესობა, მაგრამ განაგრძობდნენ სამნავიანი და სამეკლესიიანი ბაზილიკებისა და ცალნავიანი ეკლესია-სამლოცველოების შენებასაც. ძირითადი საშენი მასალა კვლავ ქვაა, მაგრამ თლილ ქვასთან ერთად გვხვდება ნატეხიც, რაც ხშირად ეკონომიური მოსაზრებითაც იყო გამოწვეული – მძიმე დრო იყო, ქვეყანას უჭირდა“.

X საუკუნე საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ პერიოდში დაიწყო ერთიანი საქართველოს, ერთიანი მონარქიის ჩამოყალიბების პროცესი. ქართველი ერის სულიერი აღმავლობა შეიმჩნევა ქართულ ხუროთმოძღვრებაშიაც. VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან შენობების ფასადებიდან ჩუქურთმა ქრება, თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც, მაგრამ ეს საერთო ტენდენციაა. ეს, ბუნებრივია, გამოწვეულ იქნა საერთო პოლიტიკური მდგომარეობით, VIII საუკუნეში საქართველოში არაბთა ბატონობის დამყარებით. ამ შეხედულებას ამყარებს ის გარემოება, რომ IX-X საუკუნეების მიჯნიდან მოყოლებული და განსაკუთრებით X საუკუნის ისტორიული ძეგლები, ფაქტობრივად სრულიად ახალი ეპოქაა ქართულ ხუროთმოძღვრებაში. კულმინაციას ამ საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურული აღმავლობის ხანაში, X საუკუნის II ნახევარი და XI საუკუნე წარმოადგენს. ამ პერიოდის ძეგლები კვლავ ორნამენტულობით და რაც საგანგებოდ აღსანიშნავია, ორნამენტული მოტივების მრავალფეროვნებით ხასიათდება. ამ პერიოდში ჩნდება აქამდე უცნობი მოტივი – ფართო ორნამენტული მოჩარჩოება მრგვალი ღიადისა (სივრცითი) (ხეითში) ან დისკოსი (ოშკი, კუმურდო). ამ პერიოდიდან, ეს მოტივი ვრცელდება სხვა მხარეებშიც და

ის საყოველთაო ქართულ ნიმუშად იქცა. ამავე პერიოდში გვხვდება კარის ტიმპანის* მთლიანად დაფარვა კვეთილი ორნამენტით (კუმურდო), რაც ასევე ფართო გავრცელებას ჰპოვებს მთელ საქართველოში და „ამ მიზნისათვის სიუჟეტური რელიეფების გამოყენებასთან ერთად, გვაძლევს მდიდარ და მრავალგვარ გადაწყვეტათა მაგალითებს (ბედია, ეხვევი, ნიკორწმინდა, იკვი, პატარა ონი, სავანე და სხვა). ამავე დროს, ვხედავთ შენობის კედლების დამაგვირგვინებელი ლავგარდანის ორნამენტით შემკობის პირველ ცდას; თანაც ორნამენტის სახე თითოეულ ფასადზე და ფასადის ნაწილზე იცვლება (კუმურდო)“. ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე დაკვირვებით აშკარად შეიმჩნევა ის სულიერი აღმავლობის ხანა, რომელიც შეინიშნება X საუკუნის ქართულ სინამდვილეში. საქართველოს გაერთიანების იდეა ასახვას ჰპოვებს სწორედ იმ გრანდიოზულობაში, ორნამენტულ გაფორმებაში და არქიტექტურულ სრულყოფილებაში, რაც ხუროთმოძღვრებაშიც შეინიშნება. საქართველოს გაერთიანება ერთიან ქართულ სახელმწიფოდ, ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანება ერთიან ფეოდალურ ქართულ მონარქიად, არ იყო უბრალოდ შედეგი სამეფო-სამთავროთა ურთიერთ ბრძოლისა საკუთარი ტერიტორიების გაფართოებისათვის, ეს გაერთიანება იყო იმ ბრძოლის შედეგი, რომელიც მაშინდელ ქართულ სახელმწიფოებში სწორედ საქართველოს გაერთიანების იდეით მიმდინარეობდა.

ადრეფეოდალურ ხანაში და კონკრეტულად, „აფხაზთა სამეფოს“ არსებობის პერიოდში, დასავლეთ საქართველოში არაერთი ისტორიული ძეგლი იქნა აგებული. მათგან უმნიშვნელოვანესია: **ამბარის** სამეკლესიანი ბაზილიკა (VIII-IX სს.), **ადიშის** დარბაზული ეკლესია (X-XI სს.), **ახალი ათონის** გუმბათიანი ეკლესია (IX-X სს.), **ბზიფის** გუმბათიანი ეკლესია (IX-X სს.), **ბიჭვინთის** გუმბათიანი ეკლესია (X ს.), **ლიხნის** გუმბათიანი ეკლესია (X-XI სს.), **მოქვის** გუმბათიანი ეკლესია (X ს.), **შუანას** გუმბათიანი ეკლესია (X ს.), **სენტის** გუმბათიანი ეკლესია (X ს.), **კორცხელის** გუმბათიანი ეკლესია (X ს.), **ხონის** დარბაზული ეკლესია (X ს.), **კლდისუბნის** დარბაზული ეკლესია (IX-X სს.), **კორტის (კვირიკე წმინდა)** სამნავიანი ბაზილიკა (IX-X სს.), **უბისას** დარბაზული ეკლესია (IX ს.), **უწერის** დარბაზული ეკლესია (X ს.), **ქუთაისის** ბაგრატის ტაძარი (X-XI სს.), **მწვანე ყვავილა** (X-XI სს.), **მარტვილის** მცირეგუმბათიანი ეკლესია (X ს.), **მაცხვარიშის** დარბაზული ეკლესია (X-XI სს.), **ჯახუნდერის** დარბაზული ეკლესია (X ს.), **ჯრუჭის** გუმბათიანი ეკლესია (X-XI სს.) და მრავალი სხვა.

„აფხაზთა სამეფოს“ მიერ, შიდა ქართლის მიერთების შემდეგ (X საუკუნეში) ამ რეგიონში აშენდა: **ბნელეთის** ღვთისმშობლის ეკლესია სკრის ხეობაში (IX-X სს.), **ახალდაბის** ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია (X ს.), **წედისის** ციხე და ეკლესია (X ს.), სოფ. **კოშკების** ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია (X ს.), **ზემო ნიქოზის** ჯვარგუმბათოვანი ეკლესია (X ს.), **გუდალეთის** წმ. ესტატეს დარბაზული ეკლესია (X ს.), **ცხირეთის** ციხე (X ს.), **ზემო ჩოჩეთის** წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია (X ს.), **ძეგვის** წმ. თევდორეს

დარბაზული ეკლესია (X ს.), **ქვემო ნიჩბისში** კოკოლაანთ დარბაზული ეკლესია (X ს.), **ძეგვის** ბორას (ბოძის) დარბაზული ეკლესია (X ს.), **ბრეძის** ზღუდის დარბაზული ეკლესია (X ს.), **ატოცის** მთავარანგელოზის დარბაზული ეკლესია (X ს.), **ბრეძის** კვირაცხოვლის დარბაზული ეკლესია (X ს.), **ურთხვის** წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია (X-XI სს.), X საუკუნეში საფუძვლიანად შეკეთდა **რუისის** ღვთისმშობლის ეკლესია და სხვა.

„აფხაზთა სამეფოს" არსებობის პერიოდში, ამ სახელმწიფოში, დასავლეთ საქართველოში, გრძელდება ქართული კულტურული ტრადიციები. ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილია შუა საუკუნეების ტიხრული მინანქრის ხელოვნება. სხვადასხვა ეკლესიებში შემონახული იყო ამგვარი ნიმუშები; ბევრი დაიკარგა, ბევრიც სხვადასხვა ქვეყანაში იქნა გატანილი, მაგრამ უდიდესი ნაწილი გადარჩა და საგანგებოდაა შესწავლილი. ტიხრული მინანქრის გარკვეული, არცთუ მცირე ნაწილი, რომელიც შემოგვრჩა დასავლეთ საქართველოში, მიეკუთვნება სწორედ „აფხაზთა სამეფოს" არსებობის პერიოდს, ანუ, ეს ხელოვნება „აფხაზთა სამეფოშიც" მაღალ დონეზე იყო განვითარებული და შეიძლება ითქვას, რომ ქართული ორიგინალური ნიმუშების განვითარებული და დახვეწილი ფორმები სწორედ ამ დროიდან გვხვდება. აღნიშნულ პერიოდში ხელოვნების ეს დარგი ახალი შინაარსით იქნა გავრცელებული. საგულისხმოა, რომ ეს ტიხრული მინანქრის ძეგლები ორ ჯგუფად იყოფა: ქართულ და ბიზანტიურად. როგორც ჩანს, ბიზანტიურის პარალელურად აქ ხდება ხელოვნების ამ დარგის ორიგინალური განვითარება, რაც, თავის მხრივ, მრავლისმეტყველია.

საგულისხმოა, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბიზანტიური ტიხრული მინანქრის უძველესი ნიმუში მარტვილის ტაძარში იქნა აღმოჩენილი და ის IX საუკუნისაა. ეს ის პერიოდია, როდესაც მარტვილი (ჭყონდიდი) უკვე ჩამოყალიბებული „აფხაზთა სამეფოს" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრია. ტიხრული მინანქრის ეს ნიმუში არის წმ. პეტრეს მედალიონი, რომელიც მარტვილის ღმრთისმშობლის ხატს ამკობს. ეს არის **ბიზანტიური ხელობის** უძველესი ნიმუში, მაგრამ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უხვადაა აღმოჩენილი ტიხრული მინანქრის უფრო ადრინდელი პერიოდის ნიმუშები, კერძოდ, VIII-IX სს-ის, რომლებიც მიეკუთვნებიან ხელოვნების ამ დარგის **ქართულ სკოლას.** სპეციალისტების აზრით, „მინანქრული ხელოვნების ანთროპომორფული ძეგლების პირველი მაგალითები საქართველოში გვხვდება". მაშასადამე, ქართული მინანქრული ხელოვნების საწყისი პერიოდი სწორედ VIII-IX საუკუნეებს უკავშირდება. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს და ახალი სამეფო-სამთავროებიც ყალიბდება; მაგრამ ეს სამეფო-სამთავროები საერთო ქართული სახელმწიფოებრივი ცნობიერების საფუძველზე ყალიბდებიან იმ ისტორიული ტრადიციის ფონზე, რასაც ქართული კულტურა და ქართლის სამეფო ქმნიდნენ. ამიტომაც იყო, რომ შემდეგ ამ სახელმწიფოებმა შექმნეს ერთიანი ქართული სახელმწიფო და ერთიან კულტურულ არეალში მყოფნი, ერთიან ქვეყნად,

„ქართლად ფრიად ქვეყნად აღირაცხნენ“. სპეციალისტების განმარტებით, „ქართული მინანქრული ხელოვნების განვითარების დაწყებითი პერიოდის – VIII-IX საუკუნეების ქართული ძეგლები დაკავშირებულია საქართველოსთან არა მარტო ტერიტორიულად, არამედ ორგანულადაც. ხატმებრძოლეობა, რომელიც მთელ ბიზანტიას მოედო იმ დროს, საქართველოსათვის უცხო დარჩა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ სწორედ საქართველოში, მისი ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრების პირობებში, შექმნილიყო ანთროპომორფული ხელოვნების ეს ადრეული ნიმუშები, მჭიდროდ დაკავშირებული აღნიშნული პერიოდის მთელი ქართული ხელოვნების საერთო ტენდენციებთან“. ჩვენ, როდესაც ვსაუბრობდით „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბების შესახებ, აღვნიშნეთ, რომ ეს სახელმწიფო ჩამოყალიბდა ბერძენთა „მოუძლურების“ დროს, კერძოდ, მაშინ, როდესაც ბიზანტია შინაგანად დაასუსტა სწორედ ხატმებრძოლეობამ; მაშინ მოახერხა აფხაზეთის ერისთავმა – ლეონმა ბიზანტიის იმპერიისაგან თავის დაღწევა და სამეფოს ჩამოყალიბება. დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდის ტიხრული მინანქრის ნიმუშები არნიშნული პროცესის რეალური აღქმისათვის სწორედ უტყუარი წყაროა. ბიზანტიის საპირისპიროდ და იქ მიმდინარე პროცესის – ხატმებრძოლეობის საწინააღმდეგოდ, ქართულ, ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოში ხელოვნების ეს დარგი ინერგება და განვითარებას ჰპოვებს. ტიხრული მინანქრის ნიმუშთა უდიდესი ნაწილი სწორედ საეკლესიო ნივთები და, უპირველეს ყოვლისა, ხატებია (ასევე ჯვრები, მედალიონები...). **მაშასადამე, აღნიშნულ პერიოდში, დასავლეთ საქართველოში ტიხრული მინანქრის ხელოვნების ნიმუშები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს წყაროს იმ რეალობის საჩვენებლად, რომ ხატმებრძოლი ბიზანტიის საწინააღმდეგოდ დასავლეთ საქართველოში ხატთაყვანისცემა უფრო მეტად განმტკიცდა და განვითარების ახალ, უფრო მეტად მძაფრ ფაზაშიც კი შევიდა.**

ბიზანტიური ხელობის ნიმუშები, შესაძლებელია, საქართველოს ტერიტორიაზე გვიან შუა საუკუნეებშიც მოხვედრილიყო. მათი X საუკუნით დათარიღება არ ნიშნავს, რომ ისინი აქ ბიზანტიიდან ამავე საუკუნეში შემოიტანეს. აღნიშნული ნიმუშები X საუკუნეში შეიქმნა, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე როდიდანაა ეს სადავო საკითხია. რაც შეეხება IX-X საუკუნეების ქართულ სკოლას, ბუნებრივია, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მათი არსებობა, სწორედ, „აფხაზთა სამეფოს“ კულტურას უკავშირდება.

როდესაც ვსაუბრობთ „აფხაზთა სამეფოს“ რელიგიურ-კულტურულ ვითარებაზე ურიგო არ იქნება, თუ აქვე ერთ ფაქტსაც აღვნიშნავთ. ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია ერთი თქმულება, ზეპირი გადმოცემა, რომელიც ე. წ. **„შალიანის ხატს“** უკავშირდება. ეს არის სვანური თქმულება, რომლის მიხედვითაც იყო ვინმე **შალიანი, სვანი.** ერთხელ იმერეთის (ქუთაისის) ხელმწიფემ ასი სვანი მოიწვია, რომლებსაც გეგუთის ველის მოთიბვა დაავალა. შალიანს განუცხადებია, რომ ის მარტო მოთიბავდა ამ ველს იგივე პერიოდში,

რა დროშიც ასევეს ერთად უნდა მოეთიბათ. სამაგიეროდ, შალიანი მეფეს რაიმე ნივთს მოსთხოვდა. მეფე დათანხმებულა. შალიანს პირობა შეუსრულებია და ამის სანაცვლოდ ერთი ცნობილი ხატი მოუთხოვია. მეფესაც, თავის მხრივ, სიტყვა არ გაუტეხავს და ხატი შალიანისთვის გადაუცია. შალიანს ხატი სვანეთში წაუღია. უღელში ორი კურო შეუბამთ, უღელზე ბოძი მიუკრავთ და ხატიც ზედ დაუმაგრებიათ. ასე აუღიათ გეზი სვანეთისაკენ. ზემო კალაში, მთის წვერზე გაჩერებულან. ამ ადგილას აღუმართავთ წმ. კვირიკეს (სვანურად „ლაგურკა“) ეკლესია, რომელიც XI-XII საუკუნეებით თარიღდება. „შალიანის ხატიც“ აქ ინახებოდა. ამ თემში ეს ხატი ყველაზე ძლიერ ხატად ითვლება. დანაშაულში ეჭვმიტანილებს, თურმე ამ ხატზე აფიცებდნენ და არ ყოფილა შემთხვევა, სვანს ამ დროს დანაშაული არ ელიარებინა. ექვთიმე თაყაიშვილის გადმოცემით, სვანეთში მხოლოდ კალას ეკლესიას, სადაც „შალიანის ხატი“ ინახებოდა, დღე და ღამე დარაჯობდა ორი შეიარაღებული სვანი. აბრეშუმის ნაჭერში გახვეული „შალიანის ხატი“, რკინის სკივრში ინახებოდა. ის წელიწადში მხოლოდ ორჯერ ამოჰქონდათ: კვირიკესა და ივლიტას დღესასწაულზე, აღდგომის კვირის შაბათ დღეს და 15 ივლისს. ამ დროს ხატს წყალში ავლებდნენ და ამ წყლით, როგორც წმინდა წყლით, სასწაულებს ახდენდნენ, სამკურნალოდ იყენებდნენ. საინტერესოა, რომ ეკლესიაში არა თუ საერო პირებს, არამედ სასულიერო მოღვაწეებსაც ძნელად უშვებდნენ.

როგორც ვთქვით, იქ, სადაც მიუტანია შალიანს „შალიანის ხატი“, აიგო ეკლესია და ეს XI საუკუნეში მოხდა. მანამდე, როგორც ჩანს, ეს ხატი ხელმწიფის საგანძურში ინახებოდა. გადმოცემის თანახმად, ხელმწიფემ სვანეთიდან ველის მოსათიბად სვანები იხმო. ბუნებრივია, მეფე სხვა ქვეყნიდან არ მოუხმობდა მთიბავებს ე. ი. ამ თქმულებაში იმ პერიოდზეა საუბარი, როდესაც სვანეთი ამ ხელმწიფის საგამგებლოში შედიოდა. პერიოდის მიხედვით, (XI საუკუნემდე, „შალიანის ხატის“ სვანეთში წაღების შემდეგ იქ ეკლესიის აგებამდე) ეს ამბავი „აფხაზთა სამეფოს“ უკავშირდება (IX-X საუკუნეები). ამ დროს სვანეთი მართლაც „აფხაზთა სამეფოს“ ერთ-ერთი საერისთავო და „აფხაზთა მეფის“ საგამგებლოა. მაშასადამე, მართალი უნდა იყოს მოსაზრება, რომ ეს ხატი, რომელიც სვანთათვის დღემდე უმნიშვნელოვანესი სიწმინდეა, „აფხაზთა სამეფოდან“ და კონკრეტულად ერთ-ერთი „აფხაზთა მეფისაგან“ სვანეთში ვინმე სვანმა, შალიანმა წაიღო.

და ბოლოს, „აფხაზთა სამეფო“ იყო ის პოლიტიკური ერთეული, რომელმაც აქტიური და ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებაშიც.

განმარტებითი ლექსიკონი *

აკროსტიხი – ლექსი, რომლის სტრიქონთა პირველი ასოები შეადგენს რაიმე სიტყვას ან წინადადებას. აკროსტიხი ჩაისახა ძველ ბერძნულ პოეზიაში.
ამირამუმნი – სახელმწიფოს მმართველის ტიტული ძველ არაბულ ქვეყნებში.
ბულა – ბეჭედი მფლობელის სახის გამოხატულებით, ან სახელით.
გერმანიკუმი – ქალაქი თანამედროვე სირიის ტერიტორიაზე.
დივანი – ჩამონათვალი, ნუსხა.
დომენი – პირად საკუთრებაში არსებული მიწა.
ედიქტი – მეფის ბრძანება.
ინდიქტიონი – ქრისტიანულ ქვეყნებში წელთაღრიცხვის თხუთმეტწლიან ციკლში წლის რიგითი ნომერი. ქართულ წყაროებში ინდიქტიონით აღინიშნებოდა აგრეთვე მეფეთა ზეობის პერიოდიც.
კუროპალატი – ბიზანტიის იმპერიაში ერთ-ერთი საერისკაცო ტიტული.
მამფალი – ქართლის სამოხელეო ტერმინი.
მარხვანი – სპეციალური საეკლესიო წიგნი.
სენიორია – ფეოდალური მამული.
სოლიდი – ფულის ერთეული ევროპაში.
სტრატეგოსი – მხედართმთავარი.
სუზერენი – უფროსი.
ტიმპანი – ნახევრადწრიული, სამკუთხა ან ისრული ფორმის ნიშა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- შოთა ბადრიძე, აფხაზთა სამეფოს წარმოშობის დროისა და პირობების შესახებ. თსუ შრომები. 4 (143). თბ. 1972.
- ბასილი სოფენელი, წგ.: გეორგიკა. IV, ნაკვ. II. თბ. 1952.
- ნიკო ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში. წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები. III. თბ. 1966.
- გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I (V-X სს.). თბ. 1963.
- ვახტანგ გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან. თბ. 1991.
- დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ. თბ. 1975.
- ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, წგ.: გეორგიკა. IV. ნაკვ I. თბ. 1941.
- ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წგ.: ქართლის ცხოვრება. IV. თბ. 1973.
- ექვთიმე თაყაიშვილი, რას შეიცავდა ე.წ. აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა. კრ. „ძველი საქართველო“. II. ტფ. 1913.
- თეოფანეს გამგრძელებელი, წგ.: გეორგიკა. IV, ნაკვ. II. თბ. 1952.
- პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. თბ. 1954.
- იოანე საბანისძე, აბო თბილელის წამება. წგ.: ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, რედ. კ. კეკელიძე. ტფ. 1935.
- კონსტანტინე პორფიროგენეტი, წგ.: გეორგიკა. IV, ნაკვ. II. თბ. 1952.
- ბუბა კუდავა, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში (VI-IX სს.). „კლიო“ (საისტორიო ალმანახი). 15. თბ. 2002.
- ნოდარ ლომოური, ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის. ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის სერია. №5. თბ. 1964.
- მარიამ ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს.). თბ. 1963.
- მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება. I. თბ. 1955.
- დავით მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II. თბ. 1980.
- სვანეთის წერილობითი ძეგლები, I. თბ. 1986.
- ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები. I. თბ. 1980.
- ქრონიკები. II (1213 წლიდამ 1700 წლამდე). ტფ. 1897.
- თინათინ ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. I. დასავლეთი საქართველო. თბ. 1999
- წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, თბ. 1991.
- ბეჟან ხორავა, ბედიის საეპისკოპოსო. კრ. „ქრისტიანობა და მედიცინა: ბედია – 1000“. თბ. 2000.

- ლეილა ხუსკივაძე, შუა საუკუნეების ტიხრული მინანქარი. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. თბ. 1984.
- ივანე ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. 3. ნაკვ. 1. ქართულ დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. თბ. 1949.
- სიმონ ჯანაშია, აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის. შრომები. I. თბ. 1952.
- მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. II. თბ. 1998.
- ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა. წგ.: ქართლის ცხოვრება. I. თბ. 1955.
- ლალი ჯღამაია, აბოსადმი მიძღვნილი იოანე მინჩხის საგალობელი. კრ. „მრავალთავი“. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. XIX. თბ. 2001.
- Авидзба А. Любопытная страница истории. Газ. „Советская Абхазия“. 7X. № 199, 1967.
- Анчабадзе **З. В.** Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв). Сухуми. 1959.
- Джанашиа **С.** О времени и условиях возникновения Абхазского царства. Шромеби. II. тб. 1952.
- Диль Ш. История Византийской империи. Перевод с французского А. Е. Рогинской, под ред. и с предисловием Б. Т. Горянова. Москва. 1948.
- Инал-ипа Ш. Д. Абхазы. Сухуми. 1956.
- Очерки истории Абхазской АССР. Гл. редактор Г.А. Дзидзария. Сухуми. 1960.
- Успенский Ф. История Византийской империи. II. Ленинград. 1927.
- Benescevic V. Monumenta Vaticana ad jus canonicum pertinentia. „Studi bizantini“. 2. 1927.
- Darrouzès J. Listes Épiscopales du Concile de Nicée (787). „Revue des Etudes Byzantines“. 33. Paris. 1975.
- Gelzer H. Ungedruckte und wenig bekannte Bistümerverzeichnisse der orientalischen Kirche. „Byzantinische Zeitschrift“. 1. 1892.